140
1962 / გ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

4 აპრილი 1962

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გაზაფხული



გაზაფხულდა. მზე ჩახჩახებს,
შვენის ზეცას გადარება;
სიმწვანეში მფეთქავ ბაღებს
მიაშურეს პატარებმა.

ყველა ბუჩქთან, ყველა ხესთან
თამაშია მხიარული,
გახალისდა ჩვენი ბაღი
მათი ტკბილი ჟრიამულით.

ს. შამთრიანი

ნახატები ნ. მესხიძისა











8707

საქართველოს
ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და
ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს სახელობის
ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოცემის
XXXVI
წელი

# შინაარსი

პ. მაკრუშენკო—ჯარისკაცი ლენინთან (მოთხრობა, თარგმნა ზ. ლეშკაშელმა) . . . . . . . 2
ა. შენგელია—ლენინი და გაზაფხული (ლექსი) . . 3
გ. ძნელაძე—აპრილი (ლექსი) . . . . . . . . . 6
უ. ზარეკიძე—ლილოელი მექანიზატორები (ნარკვევი) . . . . . . . . . . . . . . . 6
ვ. ჩეკურიშვილი—ამბავი ორი ბიჭისა (მოთხრობა) 9
ოქროს მიწა (ეთიოპიური არაკი, თარგმნა თ. ნადარეიშვილმა) . . . . . . . . . 15
ინგლისური იუმორი . . . . . . . . . . 15
თ. სახაროვი—ქორეოგრაფიულ სასწავლებელში (ფოტონარკვევი) . . . . . . . . . . . . . 16
მ. მრევლიშვილი—შვიდი ჭკუის კოლოფი (ლექსი) 18
ნ. ჯილაური—ოქტომბრელთა ვარსკვლავები (ნარკვევი) . . . . . . . . . . . . . . . 19
ვ. სიდამონიძე—გელათის ლეგენდები . . . . . . 21
ზ. ლორთქიფანიძე—ბრაკონიერები (პოემა) . . . . 24
ქ. დეისაძე—სასიხარულო ცნობები სოხუმიდან . . 26
ნორჩ მეოჯახეთა კლუბი . . . . . . . . 27
რატომ ვამბობთ ასე . . . . . . . . . 27
აკ. გელოვანი—შავი ყვავილი (ზღაპარი) . . . . . 23
ბუნების კარი . . . . . . . . . . . . . 30
ა. გალდავაძე—დალი და კურდღელი (მოთხრობა) 31
მოკლედ ყველაფერზე . . . . . . . . . 32
თავისუფალ დროს . . . . . . . . . . გარეკ. 3

გარეკანზე—„გაზაფხული", ნახ. ლ. შენგელიასი.

ჟურნალი გაფორმებულია მხატვრების: გ გელოვანის, რ. ცუცქირიძის, დ. ხახუტაშვილის, ლ. შენგელიას, ე. ამბოკაძის, გ. ფოცხიშვილისა და შ. ცხადაძის მიერ.

რედაქტორი რევაზ მარგიანი
სარედაქციო კოლეგია:
რ. ელანიძე, რ. ინანიშვილი, ჯ. კვარაცხელია,
მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი,
გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.), რ. ქორქია,
ე. ყიფიანი, ა. შენგელია, რ. ცუცქირიძე

# პიონერი

4 აპრილი 1962

* თბილისი *

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჯარისკაცი ლენინთან

პ. მაკრუშენკო

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ნახ. გ. გელოვანისა

ოქტომბრის რევოლუციის წინადღეებში რუსი ჯარისკაცი ნიკოლოზ ბირიუკოვი ომიდან ბრუნდებოდა. საბარგო ვაგონში, რომლითაც ფრონტელები მოდიოდნენ, სივიწროვე, ხმაური და დახუთული ჰაერი იყო. ჯარისკაცები ლაპარაკობდნენ და კამათობდნენ, მარტო ნიკოლოზ ბირიუკოვი დუმდა. თამბაქოს ეწეოდა და დუმდა. ფიქრობდა. იმდენს ფიქრობდა, რომ ვერც ირგვლივ მჯდომ ადამიანებს არჩევდა, არც მათი ლაპარაკი ესმოდა, არც ბორბლების რახა-რუხი და სადგურებზე ორთქლმავლის საყვირის ხმა. ბირიუკოვი შინ ბრუნდებოდა. ფიქრით იგი უკვე შინ იყო. ფიქრობდა მეუღლეზე, თავის გოგო-ბიჭზე — კლანკასა და პატარა მიტუშკაზე... „ნეტავ როგორ ცხოვრობენ? დიდი ხანია, სახლიდან წერილი არ მიმიღია. გავჩერდები ერთ დღეს მოსკოვში, ვიყიდი საჩუქრებს და გზას გავუდგები. მოსკოვიდან შინამდე ერთი ნაბიჯიღაა — ერთ ღამეში ჩავალ".

ბირიუკოვმა წარმოიდგინა როგორ ჩამოვა მატარებლიდან, გზას აუქცევს შარას, ტყე-ტყე გადავა მოკლეებზე, ტყეს რომ გაცდება, გორაკიდან მისი სოფელი უკვე ხელისგულივით მოჩანს. ცხადია, შორიდანვე იცნობს ძველთაძველ ძეწნას, იქვე კი — მისი ქოხია. ყოველივე ეს რაოდენ მშობლიური და ძვირფასია მისთვის!

ამ ფიქრებში წასულს, ვაგონის კედელთან მიყუჟულს ჩაეძინა კიდეც. მაგრამ მისი ფიქრები შინ დაბრუნებასა და ოჯახთან შეხვედრაზე ძილშიაც გრძელდებოდა.

ჩამოვიდა ბირიუკოვი მოსკოვში სადგურის მოედანზე და რას ხედავს! რაღაც გაუგებრობა ხდება — შუშებჩალეწილი ტრამვაის ვაგონები გვერდზე გადაბრუნებული წვანან, მაღაზიები დაკეტილია, ადამიანები გაფაციცებული გარბი-გამორბიან.

ჯარისკაცი ტვერის ქუჩას გაჰყვა — ასე ერქვა მაშინ მთავარ ქუჩას. ხედავს, იქაურობა სამხედრო პოზიციას დამსგავსებია. ერთ მხარეს ოფიცრები და იუნკრები დგანან, მეორე მხარეს — ჯარისკაცები, შეიარაღებული მუშები და სტუდენტები.

ოფიცრები ყვირიან:

— ჩაგვაბარეთ იარაღი!

ჯარისკაცები პასუხობენ:

— აი, ბრანწი! თვითონ დაჰყარეთ! სულერთია, მაინც არ გაგიშვებთ!

იყვირეს, იყვირეს და მერე მიუშინეს ერთმანეთს. ნიკოლოზ ბირიუკოვის თვალწინ დაჭრილები და დახოცილები ეცემიან.

იწყინა ჯარისკაცმა.

„ეს რას ჰგავს?! ფრონტზე ჩვენს ძმებს გერმანელები ესროდნენ, ახლა კი ჯარისკაცებსა და მუშებს ჩვენივე ოფიცრები ხოცავენ. რა გამოდის?“

მიირბინა ნიკოლოზ ბირიუკოვმა შაშხანიან მოხუც მუშასთან, რომელიც უფროსს ჰგავდა და ეკითხება:

— ძმობილო, გამაგებინე ერთი, რა ხდება აქ?

— ოფიცრებს კვლავ მეფე სურთ კისერზე დაგვასვან, მუშებისა და ჯარისკაცების დეპუტატთა საბჭოები გარეკონ და ახალი ხელისუფლება მოსპონ. — უპასუხა მუშამ და ახლა იმან ჰკითხა:

—შენ რა უიარაღოდ დასეირნობ, ჯარისკაცო, ხომ ხედავ, აქ თითქმის სამოქალაქო ომი იწყება!

— რა სამოქალაქო ომი?! ჩვენ მეფის ომებმაც მოგვაბეზრა თავი; მეყოფა რაც ვიომე, ახლა შინ მივდივარ.

— სხვებმაც იომეს, მაგრამ როგორც კი გაიგეს, თეთრები საბჭოების ჩახშობას აპირებენო, ხელად გადაიფიქრეს შინ წასვლა, იქნებ შენც თეთრებთან ხარ და უფალი მეფე გინდა ისევ?!

— მეფე რა ჯანდაბად მინდა.

— მაშ დაიცავი შენი სახალხო ხელისუფლება, შინ წასვლას კი, თეთრებს რომ გავანადგურებთ, მერეც მოვესწრებით.

— შენ, ძმაო, მგონი სწორად მსჯელობ!

ბირიუკოვმა თხოვა სამხედრო მეთაურს, ნება დამრთე რევოლუციურ რაზმს შევუერთდეო.

— ჩადექი. ოღონდ იცოდე, იარაღი არა გვაქვს: რაც გვქონდა, მუშებსა და სტუდენტებს დავურიგეთ. შენ თუ ნამდვილი ჯარისკაცი ხარ, თვითონვე იშოვი შაშხანას, — უპასუხა უფროსმა.

ნიკოლოზ ბირიუკოვმა მალე იშოვა შაშხანა და მოსკოვის ბარიკადებზე თავისი ადგილი დაიკავა.

სასტუმრო „მეტროპოლთან“ ერთ-ერთ ბრძოლაში მძიმედ დაჭრეს და ჰოსპიტალში მოხვდა, სადაც ძალიან დიდხანს იწვა.

შინაურების დარდი ჰქონდა ჯარისკაცს. რაღა არ იფიქრა ჰოსპიტლის საწოლზე მწოლარემ. საქმე ცუდად მიდიოდა, მუცელში ტყვიით მიყენებული ჭრილობა არ ხორცდებოდა. ექიმებმა რამდენჯერმე დააწვინეს საოპერაციო მაგიდაზე. ამას ისიც დაემატა, რომ შინიდან საგანგაშო წერილებს ღებულობდა: სოფელში ბანდები გაჩენილიყვნენ და გლეხებს მებატონეთა მიწის დანაწილებას არ ანებებდნენ.

ბირიუკოვი მხოლოდ 1918 წლის გაზაფხულზე გამოკეთდა და შინ გასამგზავრებლად თადარიგს შეუდგა. ჯარისკაცის მომზადებას ბევრი არაფერი უნდა — ქამარს შემოირტყამს და მზად არის. მაგრამ ბირიუკოვს ფათერაკი შეემთხვა — არა თუ ფორმის ტანსაცმელი, ჯარისკაცული ქამარიც აღარ შერჩა. სანამ ჰოსპიტალში იწვა, ზედა ტანსაცმელი არ სჭირდებოდა. საწოლიდან წამოდგა და ჩასაცმელი აღარაფერი ჰქონდა: საწყობში ხანძარი გაჩენილიყო და თითქმის ყველაფერი განადგურებულიყო. ყელიანი ფეხსაცმელები, ჯარისკაცული ტოლაღები და ფაფახიღა შერჩა. როგორ [illegible] შიშველი ხომ ვერ წავა შინ? ჩაფიქრდა ჰოსპიტალის კომენდანტიც: როგორ უშველოს ჯარისკაცს?

იფიქრა, იფიქრა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა. მძიმე დრო იყო, ჰოსპიტალს ტანსაცმლის მარაგი არ გააჩნდა.

გავიდა კომენდანტი ცოტა ხნით სადღაც, შემობრუნდა და თქვა:

—გამომართვი, ჯარისკაცო, აი ეს, სხვა არაფერი მაქვს! — და ვარდისფრად მოქარგული აბრეშუმის დალიანდაგებული ხალათი გაუწოდა. ჯარისკაცმა ჩაიცვა ხალათი, ზედ წნული, ფოჩებიანი ქამარი შემოირტყა, მივიდა კედლის სარკესთან და ელდა ეცა.

შესაძლოა ხალათი, ისიც ასეთი ძვირფასი, როგორიც ჯარისკაცს მისცეს, ურიგო ტანსაცმელი არ იყოს. მაგრამ ამ შემთხვევაში სულ არ უხდებოდა ფაფახსა და ჯარისკაცურ ფეხსაცმელებს. სამხედრო ფორმის დიდი დარღვევა გამოდიოდა.

დაღონდა ჯარისკაცი.

— ნუ სწუხარ. ნავალი კაცი ხარ. იპოვი შენს ნაწილს და იქ ჩაიცვამ როგორც წესია, — ამშვიდებდა კომენდანტი.

რაღა დროს ნაწილის ძებნაა, როცა ჯარისკაცს მძიმე ჭრილობის გამო შვებულება მისცეს და შინ მიდის ცოტა ხნით, ამ ბურჟუაზიულ ხალათით ხომ ვერ ჩავა მშობლიურ სოფელში.

გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა, მაგრამ რას იზამ. მიაბიჯებს ძვირფას ხალათში გამოწყობილი ჯარისკაცი მოსკოვის ქუჩებში, ხალხი კი უცქერის და იცინის. ოხოტნი რიადთან, სადაც გახურებული ვაჭრობა იყო, ჯარისკაცს ბიჭები შემოეხვივნენ. ერთმა ონავარმა დაიძახა:

— შეხეთ, ბიჭებო, ბურჟუა ჯარისკაცად გამოწყობილა!

ამ სიტყვებზე კიდევ უფრო მოუვიდა გული ჯარისკაცს. ბავშვები კი არა, უფროსებიც თვალს აყოლებდნენ სამასკარადოდ მორთულ ჯარისკაცს და გიჟი ეგონათ. ბირიუკოვს სხვა რა გზა ჰქონდა, უნდა გასცლოდა დაცინვებს და გზა განეგრძო.

დიდხანს დადიოდა ნიკოლოზ ბირიუკოვი ქუჩებში, შედიოდა დაწესებულებებში, ჰყვებოდა თავის გასაჭირს. ერთნი უსმენდნენ, თანაუგრძნობდნენ, დახმარებით კი ვერ ეხმარებოდნენ, მეორენი დამცინავად იღიმებოდნენ: „ნახეთ, რისთვის იომა ჯარისკაცმაო!“. მაშინ კანცელარიებში ჯერ კიდევ უხვად იყვნენ ძველი ჩინოვნიკები. ბირიუკოვი ისეთ დღეში ჩავარდა, პირდაპირ სატირლად ჰქონდა საქმე.

— წადი, ჯარისკაცო, კრემლში. ლენინთან წადი, — ურჩია ვიღაცამ, — ის უშველის შენს გასაჭირს.

„ადვილი სათქმელია: თვით ლენინთან“, — გაიფიქრა ბირიუკოვმა.

## ლენინი და გაზაფხული

**ალექო შენგელია**

*მეხმა დაიგრიალა,*
*გაზაფხულს ვცეთ თაყვანი...*
*მაგრამ მეხი კი არა,*
*ელავს თეთრი აკვანი!*

*წამოვიდა ჩანჩქერი*
*ქვემოთ, გორი-გორითა.*
*მაღლით ზეცა დაგვცქერის,*
*ლურჯად ბზინავს შორიდან.*

*ათასფერად გაბრწყინდა*
*ყვავილების აპრილი,*
*ჩემი ქვეყნის მთა წმინდა,*
*მინდვრის ლურჯი ნაპირი!*

*მეხმა დაიგრიალა,*
*გაზაფხულმა დარეკა.*
*მზე გამოჩნდა ბრიალა,*
*მთებზე თოვლი არეკა.*

*აკვნის ენა ვინ იცის,*
*უკეთესად მშობლისა...*
*გახსოვთ, ჩვენი ილიჩის*
*სურათი ბავშვობისა?*

*გახსოვთ!..*
*მღერის აპრილი,*
*გაზაფხულის მშობელი,*
*და ილიჩის მშობელი,*
*მათთან განუყოფელი!*

ლენინზე იგი დიდი ხანია ფიქრობდა. ჯერ კიდევ ჰოსპიტალში, როდესაც შინიდან მიღებული წერილებით გაიგო, სოფელში ბანდები გაჩნდნენ და მებატონეები გლეხებს მიწას ნებით არ აძლევენო, მწოლიარე ჯარისკაცს უძილო ღამეების მანძილზე არა ერთხელ უფიქრია: ლენინს რომ ვკითხო? მან, ცხადია, ყველაფერი იცის, რჩევას მომცემს, დამარიგებს, მეტყვის როგორ მოვიქცე! მაგრამ ბირიუკოვს ერიდებოდა. ახლა კი სხვა გზა არ ჰქონდა, თან კეთილი ადამიანებიც ურჩევდნენ. ადგა და კრემლისაკენ გაემართა. მივიდა ჭიშკართან, გუშაგი გაოცებული შესცქერის და ხარხარებს: რად დასჭირდა, ნეტავ, ჯარისკაცს ბურჟუის ხალათში გამოწყობაო.

— სად მიდიხარ ასე სასაცილოდ მორთული?

ნიკოლოზ ბირიუკოვი მგონი მეასეჯერ ჰყვებოდა თავის ისტორიას, თუ როგორ გაჩნდა ხანძარი ჰოსპიტალში. გუშაგმა სიცილი შეწყვიტა და თავის უფროსს უხმო.

საგუშაგოს უფროსი მოვიდა, ყველაფერი გამოიკითხა, ჯარისკაცს ურჩია, ილიჩს ნუ შეაწუხებ, ასეთი პატარა საქმისთვის ნუ გააცდენ. ჩვენვე მოვაგვარებთ, გიშოვით რაიმე ფორმის ტანსაცმელსო.

მაგრამ ჯარისკაცი გაჯიუტდა და ბოლოს გაატარეს.

მიაბიჯებს ბირიუკოვი კრემლის ეზოში. ხედავს: აგერ, მეფე — ზარბაზანი, მეფე — ზარი, მეფის სასახლეებია ირგლივ. რა სიმდიდრეა თავმოყრილი, — გაშტერდა ადამიანი! ჯარისკაცი საარტილერიო ჭურვით დაზიანებულ სახლებსაც ხედავს. მოედანზე ბოძები, კასრები, გადაყირავებული ოთხთვალები, ქვები და ნაგავი ყრია. ეს ბარიკადების ნაშთია.

რა იცის ბირიუკოვმა, რომ 1917-ში, როდესაც იგი ჰოსპიტალში იწვა, კრემლშიც ბრძოლები მოხდა. თეთრგვარდიელებმა მოტყუებით მოახერხეს კრემლის ხელში ჩაგდება, და მათი იქიდან გამოდევნა იოლი როდი იყო. კრემლის გათავისუფლებაში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის, ვლადიმირის, ტვერის, ივანოვოს რევოლუციურმა ჯარისკაცებმა და შეიარაღებულმა პროლეტარებმა. ლენინის მითითებით, ორი ათასი წითელგვარდიელი და მეზღვაური სასწრაფოდ გამოემართა პეტროგრადიდან...

მაგრამ ახლა ნიკოლოზ ბირიუკოვი თავისი ფიქრითაა გართული. იგი თავის გზას ადგას — ლენინთან მიდის. შედის სახლში, სადაც ვლადიმერ ილიას ძე მუშაობს, კაბინეტის კართან კი კვლავ გუშაგი აჩერებს:

— შესდექ! ვინ ხარ? რატომ ფორმა არ გაცვია?

— ჯარისკაცი ვარ, ნიკოლოზ ბირიუკოვი. ფათერაკი შემემთხვა და ლენინთან მივდივარ.

— რა ფათერაკი?

ნიკოლოზ ბირიუკოვმა ის-ის იყო დაიწყო თავისი ისტორიის მოყოლა, რომ უცებ მოესმა:

— გაატარეთ, გეთაყვა, ჯარისკაცი ჩემთან მოდის!

ბირიუკოვმა მიიხედა, მის წინ თვით ლენინი იდგა. თუმცა ფორმა არ ეცვა ბირიუკოვს, მაინც არ დაიბნა ჯარისკაცი, გამოეჭიმა სახელმწიფოს მეთაურს და უთხრა:

— ჯანმრთელობას გისურვებთ, ამხანაგო ლენინ! ნება მომეცით მოგმართოთ.

— გამარჯობათ, ამხანაგო! შემოდით...

ლენინმა ჯარისკაცი მაგიდის წინ, რბილ სავარძელში ჩასვა, თვითონ პირდაპირ დაუჯდა და ხელისგულები მუხლზე დაიწყო.

— უკვე მომახსენეს თქვენი გასაჭირის შესახებ, — თქვა ვლადიმერ ილიას ძემ, — სანამ თქვენთვის ფორმის ტანსაცმელს მოამზადებდნენ, თუ წინააღმდეგი არა ხართ, წავისაუბროთ.

— დიდ ღირსებად ჩავთვლი თქვენთან საუბარს, ამხანაგო ლენინ!

— ჰოდა, ძალიან კარგი. დიდი ხანია ფრონტიდან დაბრუნდით?

— თითქმის წელიწადია, იმ დღიდან, რაც გერმანელებთან დავძმობილდით...

ეროვნული ბიბლიოთეკა



— გერმანელებთან დაძმობილდით? მომიყევით, მომიყევით, გეთაყვა, როგორ მოხდა, რომ ძველი მტრები უცებ შერიგდით?

— მე თვითონ არ მესმის, — უპასუხა ჯარისკაცმა. — ომი ძალზე მოგვბეზრდა. არ ვიცოდით, რისთვის ვიბრძოდით, რისთვის ვიჯექით სანგრებში და მკბენარს ვკვებავდით, რატომ ვიხოცებოდით მტრის ტყვიებით. ამ დროს კი ხმა გავარდა: მეფეს თავში მოსდესო!

ეს სიტყვები რომ გაიგონა, ლენინს გაეცინა:

— მართლა ასე ამბობდნენ ჯარისკაცები: „მეფეს თავში მოსდესო?" აღარ ეშინოდათ უფალი-მეფის?

— გათამამდენ ჯარისკაცები, აღარ ეშინოდათ. სანგრებში ბოლშევიკური გაზეთები დადიოდა. ხმამაღლა კითხულობდნენ. წერა-კითხვის მცოდნეები ზოგიერთ რამეს იწერდნენ კიდეც, დასამახსოვრებლად. ერთი ჯარისკაცი პიტერიდან დაბრუნდა. თითქოს შინ იყო, შვებულებაში, სინამდვილეში კი სრულიად რუსეთის საბჭოების პირველ ყრილობას დასწრებოდა. ბოლშევიკი გამოდგა. კარგი ამბები ჩამოიტანა. ომი უნდა შეწყდეს, ფაბრიკები — მუშებს, მიწა — გლეხებს, ხელი-

სუფლება —მშრომელ ხალხსაო! ესო, ამბობდა, თვით ლენინმა წამოაყენა თავის გამოსვლებშიო. ჩვენ სიხარულით ქუდებს მაღლა ვისროდით, „ვაშას“ ვყვიროდით. ამის შემდეგ რაღა გვეომებოდა?

ლენინი ადგა, მაგიდასთან მივიდა, რაღაც ჩაიწერა და ჰკითხა:

— გერმანელებთან რა ხდებოდა?

— იქაც დიდი ჩოჩქოლი იყო. სანგრებიდან თეთრი დროშები აღმართეს და ყვიროდნენ: „რუს კამრად! ვოინა კაპუტ!“ „კაპუტ! კაპუტ,“ — პასუხობდნენ ჩვენი ჯარისკაცები. იმ ბოლშევიკმა ჯარისკაცმა კი, პიტერში რომ იმოგზაურა, ამოიღო ზურგჩანთიდან თეთრი პირსახოცი, ჩამოაცო შაშხანის ხიშტს და მანაც ააფრიალა სანგრის თავზე. გერმანელებმა დაინახეს ჩვენი „დროშა“ და ამოძვრნენ თავიანთი სანგრებიდან და მიწურებიდან. არც თვითონ ისვრიან, აღარც ჩვენ ვაწუხებთ: თეთრი დროშა — ზავს ნიშნავს. ჩვენ გერმანელებს მივჩერებივართ, ისინი — ჩვენ. გერმანელები კვლავ ჰყვირიან: — „რუს! კომ!“ — ჩვენთან მოდითო, — გვიძახიან მათს ენაზე. ესე იგი, სტუმრად გვეპატიჟებიან. ჩვენებმა უპასუხეს:

— „დოიჩ კამრად! შენც წამოდი!“

ლენინის მაგიდაზე ელექტრონათურა აინთო: ეს ნიშნავდა, რომ მას ტელეფონზე იძახებდნენ. ვლადიმერ ილიას ძე ადგა, ყურმილი აიღო და თქვა:

— გთხოვთ მაპატიოთ, ფრონტელ ჯარისკაცთან ვსაუბრობ. ცოტა მოგვიანებით დამირეკეთ.

ლენინი კვლავ ჯარისკაცის წინ დაჯდა და თხოვა:

— განაგრძეთ, განაგრძეთ. ძალიან საინტერესოდ ყვებით.

— მაშინ გერმანელები ადგნენ და პირდაპირ ჩვენკენ წამოვიდნენ, უიარაღოდ. ჩვენც ავდექით და უიარაღოდ გავემართეთ მათკენ. რაც უფრო ვუახლოვდებოდით, მით უფრო ვუმატებდით ნაბიჯს. ბოლოს გავიქეცით. შევხვდით, გადავეხვიეთ, ზურგზე ვუტყაპუნებდით ერთმანეთს ხელებს. გერმანელები თავიანთ ენაზე ლაპარაკობდნენ, ჩვენები — ჩვენსაზე. მათი სიტყვები არ ვიცოდით, მაგრამ ყველაფერი გვესმოდა, ვიცინოდით, მოსაწევს ვთავაზობდით ერთმანეთს.

— ოფიცრები? ისინიც დაძმობილდნენ?

— არა, ამხანაგო ლენინ. ისინი გვიკრძალავდნენ ასეთ შეხვედრებს. ტყვიამფრქვევების დაშენით გვემუქრებოდნენ.

— თქვენ კი არ შეშინდით, ხომ? ოფიცრების წინააღმდეგ წახვედით, მტრებს დაუძმობილდით, როგორ მოხდა ასე?

— ვერ აგიხსნით, ამხანაგო ლენინ.

— ამის გაგება არც ისე ადვილია. განგიმარტავთ სამი მოჯამაგირის მაგალითით. ცხოვრობდა სამი მოჯამაგირე: რუსი, ეს, დავუშვათ, თქვენ ხართ, გერმანელი და თურქი. ყოველი თქვენთაგანი თავის სოფელში ცხოვრობდა და ერთმანეთს არ იცნობდა. ახლა მითხარით, თქვენს შორის შეიძლება იყოს რაიმე შუღლი?

— რა შუღლი უნდა გქონდეს მშრომელ კაცთან, რომელსაც შენს სიცოცხლეში არასოდეს შეხვედრიხარ? — [illegible] ჯარისკაცმა.

— სწორია. მაგრამ აი, ბურჟუაზიულ მთავრობებს ის მოჯამაგირეები ფრონტზე მიჰყავთ და ეუბნებიან: „იქ, თავდაცვის ხაზს უკან, შენი მტერია, მოჰკალი იგი, თუ არა და თვითონ მოგკლავს“. და ადამიანებიც ერთმანეთზე ნადირობას იწყებენ. არც კი ფიქრობენ, რად სჭირდებათ სხვისი სისხლის დაღვრა.

— სწორია, ამხანაგო ლენინ.

— ამ ქვეყნებში რომ სახალხო მთავრობები იყოს, რუსი, გერმანელი და თურქი მოჯამაგირეები ერთმანეთთან არ იბრძოლებენ, მეგობრები იქნებიან.

— ჩვენი ჯარისკაციც ასე ფიქრობს, ამხანაგო ლენინ...

— დაძმობილების შემდეგ ერთმანეთს რომ დასცილდით, მერე რაღა გააკეთეთ?

— ზოგმა დაჰყარა იარაღი, ზოგმა არა, ამბობდნენ, კიდევ გამოგვადგებაო. მე პირადად, ჩემი სამხაზიანი პირდაპირ ხიშტით ჩავარჭე მიწაში. მოვიგდე მხარზე ზურგჩანთა და ჰერი, სხვა ჯარისკაცებთან ერთად შინისაკენ გამოვწიე.

— იარაღი ტყუილად გადაგიყრიათ. დაბრუნდებით სოფელში და ნახავთ, რომ თეთრგვარდიელები და ესერები მემამულეებს იცავენ. მიწის დასაკუთრება შესაძლოა იარაღით მოგიხდეთ.

— აი, სწორედ ეგ უნდა მეკითხა, ამხანაგო ლენინ. როგორ მოვიქცეთ, მიწას როგორღა მოვუაროთ? სოფლიდან იწერებიან, ჩვენმა გლეხებმა მიწის დანაწილება დაიწყეს, მაგრამ რაღაც შეფერხება მოხდაო.

— შეფერხება? აი, როგორი შეფერხება: მემამულე განდევნეს, მაგრამ უბრძოლველად მაინც არ ნებდება, მოკავშირედ კულაკები ჰყავს, რომელთაც თეთრგვარდიელები და ესერები უჭერენ მხარს. ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა. მიწა იარაღით ხელში უნდა დავიცვათ. აი, ამიტომ დაგჭირდებოდა სამხაზიანი, რომელიც მიწაში ჩაარჭე.

— ეჰ, იოლი არ არის, გაიგო, რა ხდება. აი, ბარიკადებზეც კი მოვხვდი, შეიძლება ითქვას, რევოლუციაშიც მივიღე მონაწილეობა...

— ასე რომ, თქვენ, ბირიუკოვ, მარტო უბრალო ჯარისკაცი კი არა, რევოლუციის ჯარისკაცი ყოფილხართ. უხერხულია, რასაკვირველია, რევოლუციის ჯარისკაცისათვის ბურჟუის ხალათით სიარული. მაგრამ გული არ გაიტეხოთ. ფორმის ტანსაცმელი, ალბათ, უკვე მოამზადეს, შეგიძლიათ წახვიდეთ და ჩაიცვათ. მეორეჯერ იარაღი არ გადააგდოთ. შესაძლოა, კიდევ გამოგადგეთ. ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანას ჯერ კიდევ ბევრი მტერი ჰყავს. მშვიდობით, ამხანაგო ბირიუკოვ.

— ჯანმრთელად ბრძანდებოდეთ, ვლადიმერ ილიას ძევ, დიდი მადლობა დახმარებისათვის.

თარგმნა ზ. ლეშკაშელმა

**19 მაისს სრულდება 40 წელი**
**ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის დაარსებიდან**
**ღირსეულად შევხვდეთ ჩვენს დღესასწაულს!**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დე, ტრაქტორისტებად უნდა ვიმუშაოთ. ჰოდა, მოდი, ბარემ გვასწავლე ტარება, — უთხრეს ერთხელ ბიჭებმა მიხეილ ქელდიშვილს.

მიხეილს გაეღიმა, გულში მაშინვე დაეთანხმა: არ დაგზარდებით, იარეთ ჩემთან და კაცი არ ვიყო, თუ ერთ თვეში ტარება არ გასწავლოთო!

მას შემდეგ ერთი წუთით არ მოსცილებიან ონისიმე და მისი მეგობრები მიხეილს. ტრაქტორის ნაწილები ადრე ჩახლართულად რომ ეჩვენებოდათ, ახლა სულ ზეპირად იცოდნენ. ტარება?..

თავის სიცოცხლეში არასოდეს არ დაავიწყდება ონისიმეს ის დღე, როდესაც პირველად დასძრა იმდენი ხნის ნანატრი „რკინის ხარი“.

შემოდგომის [illegible]ხიანი დღე იყო. მიხეილმა ბიჭებს დაუბარა, დღეს მჭამელახევზე ვმუშაობ, იქ ჩამოდითო. ნორჩი მექანიზატორები სიხარულით დაეშვნენ ფერმის მიმართულებით.

მიხეილმა შორიდანვე მოჰკრა თვალი თავის შეგირდებს და ტრაქტორი გააჩერა.

— აბა, პირველად ვინ მიუჯდება საჭეს?

— მე! — ყველამ ერთხმად იყვირა.

ონისიმე კი პირველი ახტა ტრაქტორზე და მიხეილის გვერდით მოიკალათა. ნოდარ გაფიშვილმა ჯერჯერობით გუთანზე დაჯდომა იკმარა.

ონისიმეს აღელვება შეეტყო. მართვის სახელურს მაგრად ჩასჭიდა ხელი. ტრაქტორი ძაგძაგებდა და რახრახებდა. მაგრამ ამ ხმაურშიც აშკარად გაიგონა საკუთარი გულის დაგა-დუგი.

— გავწიოთ!

ონისიმემ სიჩქარის პედალს ფეხი აუშვა და ტრაქტორიც დაიძრა. ბიჭები კი ჟივილ-ხივილით აედევნენ, უყვიროდნენ, აქეზებდნენ მეგობრებს, ერთი სული ჰქონდათ — თვითონაც მალე მისჯდომოდნენ საჭეს.

ერთხელ, ბიჭები მჭამელახევის მინდვრიდან რომ ბრუნდებოდნენ, გზად სამანქანო-სატრაქტორო პარკში შეიარეს. კომბაინთან მათი თანასკოლელები, ძმები დევანოზ და თეიმურაზ გაბათაშვილები ფუსფუსებდნენ.

— დევანოზ, რას აკეთებთ!

— ვერა ხედავთ, კომბაინს ვწმენდთ!

— მაგას კი ვხედავთ, მაგრამ ველზე სამუშაოდ როდის გადიხართ?

— ხვალ დილიდან!.. — გამოეპასუხა ახლა თეიმურაზი. — მამამ ასე თქვა.

— ჩვენ ტრაქტორის მართვა ვისწავლეთ!.. — დაიტრაბახა ონისიმემ და კომბაინის ბუნკერზე აცოცებულ თეიმურაზს ხელის მოჩრდილვით ახედა.

— დიდი რამე, თქვენ თუ ახლა ისწავლეთ, ჩვენ მეორე წელია, რაც კომბაინს ვატარებთ.

დევანოზს და თეიმურაზს სოფელში ნორჩ კომბაინერებად რომ თვლიდნენ, კარგად იცოდნენ ბიჭებმა. ძმებმა ჯერ კიდევ წინა წელს იმუშავეს შტურვალისტებად თავიანთი მამის გიგა გაბათაშვილის კომბაინზე. მაგრამ ახლა ტრაქტორთან კომბაინი აღარაფრად მოეჩვენათ ონისიმეს და მის გვერდით მდგომთ.



მეექვსეკლასელი მევლ[...]
გაბაშვილი ყვავილე[...]
დიდი მეგობარია.



კომბაინი საცაა მინდ[...]
ში უნდა გავიდეს. თეი[...]
რაზ გაბათაშვილი ერთ[...]
კიდევ ამოწმებს მანქ[...]
ნაწილებს.



ონისიმე სალთხუციშვილი მალე აამუშავებს მოტორს. ტრაქტორისტი მიხეილ ქელდიაშვილი კმაყოფილია შეგირდით.

# ᲒᲝᲭᲔᲑᲘ



მერვეკლასელ მედეა გაბათაშვილს უყვარს პირუტყვის მოვლა. მან 12 გოჭი გამოზარდა.



თეიმურაზ გაბათაშვილი კომბაინერია, მაგრამ ხშირად გუთანზეც მუშაობს.

— ტრაქტორი სჯობია თუ კომბაინი?
ამაზე დაიწყეს დავა.
ონისიმემ თავი გამოიდო.

— ტრაქტორთან კომბაინი რას მოვა! ტრაქტორი ღონიერი მანქანაა!.. ხომ გახსოვთ ერთხელ სატვირთო მანქანა ტალახში რომ ჩაიჭედა, მთელი სოფელი რომ მიესია და ვერა და ვერ ამოათრიეს. მერე ტრაქტორი რომ მიუბეს და ერთ წამში ამოიყვანა!.. ბიჭო, ტრაქტორი თუ არ გამოუბი, შენი კომბაინი რას იზამს, ადგილიდანაც ვერ დაიძრება!...

ნორჩი მექანიზატორების დავა ბოლოს იმით გათავდა, რომ ერთმანეთის პროფესია მოუწონეს და თავიანთ ბავშვურ თავგამოდებაზე ბევრიც იცინეს.

მეორე დღეს დათა არსოშვილმა თავისი ტრაქტორი მოაგორა და კომბაინს გამოუბა. დევანოზმა და თეიმურაზმა კომბაინზე ადგილები დაიკავეს. „ველის ხომალდი“ ნავივით ნელ-ნელა გაცურდა.

იმ დღეს თეიმურაზი მამამ კომბაინერად დანიშნა, დევაზონი კი შტურვალისტად. მაგრამ დევანოზს ეს არ სწყენია. იცოდა, რომ მუშაობაში ძმებს ერთმანეთი უნდა შეეცვალათ.

ოქროსფრად ღაღანებდა მწიფე თავთავით დამძიმებული ყანა. დილის სიო ზღვასავით არხევდა მას.

ტრაქტორმა კომბაინი ყანის პირას რომ მიაყენა, ძია დათამ ბიჭებს ამოსძახა:

— აბა, მზადა ხართ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზმა მზადყოფნის ნიშნად ხელი აუწია ძია დათას.

ტრაქტორი დაიძრა. თეიმურაზს საჭე ეკავა ხელში და ცდილობდა ზუსტად გაჰყოლოდა ტრაქტორის უკანა თვალს. დევანოს კი ათასი საზრუნავი ჰქონდა, ფრთხილობდა, — მუშაობაში ხედერის დანა არ გამტყდარიყო. ნამჯა ტრანსპორტიორში არ გაჭედილიყო, დროდადრო ბუნკერსაც ჩახედავდა, რომ არ გავსებულიყო და ხორბალი ძირს არ გადმობნეულიყო.

კომბაინი კი მართლაც ხომალდივით მძიმედ მიცურავდა ყანაში. ტარაბუა რიტმულად ტრიალებდა და მოსავალს იღებდა



კომბაინერი გიგა გაბათაშვილი ახალი კბილანის დაყენებას ასწავლის ბიჭებს.



ხალისიანია შესვენების დრო მით უმეტეს, თუ ბურთიც გაჩნდა ამ დროს.



გულმოდგინედ და ყურადღებით რგავენ პატარები ბოსტნეულს.

ყველაზე მოსაწყენი დრო სოფლად ზამთარია. მინდვრად სამუშაო აღარაფერი რჩება. მარტო მექანიზატორებს არ ელევათ საქმე. ტრაქტორები, გუთნები და კომბაინები თადარიგში მოჰყავთ, არემონტებენ, ამზადებენ საგაზაფხულოდ.

ლილოელ ნორჩ მექანიზატორებს არც ამ ზამთარს დავიწყებიათ თავიანთი ვალი. ხშირად ჩადიოდნენ ხოლმე სამანქანო-სატრაქტორო პარკში და უფროსებს ყოველგვარ საქმეში ეხმარებოდნენ. დევაზონმა და თეიმურაზმა, მაგალითად, მამასთან ერთად კომბაინი კაპიტალურად შეაკეთეს. ბორბლის ზოგიერთი გატეხილი ფიცარი ახლით შეცვალეს, ბენზინით გაწმინდეს მთელი ნაწილები, რომლებსაც ალაგ-ალაგ ჟანგიც მოსდებოდა, გამოცვალეს დაზიანებული კბილანები.

არც ონისიმე, ტარიელი და მათი ამხანაგები დარჩნენ ვალში. ტრაქტორისტებმაც თავიანთი ტრაქტორი მოამზადეს ველზე გასასვლელად და მოუთმენლად ელოდნენ თბილ ამინდებს, რომ სამუშაოდ გასულიყვნენ.

უ. ზარეკიძე

ფოტო ა. ვართანოვისა



# ამბავი ორი ბიჭის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერიან ჩეკურიშვილი

ნახ. რ. ცუცქირიძისა

## მ ო თ ხ რ ო ბ ა*

1

სოფლის ბოლოს, დიდი კაკლების ჩრდილში, რეზო და ვახტანგი ბურთს თამაშობდნენ. ხან ერთი იდგა „კარში“, ხან მეორე, მაგრამ ორნი იყვნენ და ამიტომ თამაში მოსაწყენი ხდებოდა. ბურთს თავს ანებებდნენ და ქვის სროლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. აქაც ხან ერთი იყო ზუსტი მსროლელი, ხან მეორე. ბოლოს ისევ ბურთს მიუბრუნდებოდნენ და... ასე იყო ყოველ დღე, რაც ისინი სკოლიდან დაითხოვეს არდადეგებზე.

ერთხელ ვახტანგი რეზოს დარტყმულ ბურთს აღარ გამოუდგა, შარვალი ჩაიფერთხა და იქვე ჩამოჯდა. რეზოც მივიდა და გვერდით მიუჯდა მეგობარს.

— აქ რას აკეთებთ? — თავს წაადგათ ვახტანგის მამა. მხარზე პირამოტეხილი ცელი გაედო, სათიბიდან შინ ბრუნდებოდა.

— ვთამაშობთ, — დამნაშავეებივით უპასუხეს ბიჭებმა.

— მერე, თამაშის დროა ახლა?!

— აბა, რა გავაკეთოთ, ძია გიორგი? — სცადა თავის მართლება რეზომ.

— რა გააკეთოთ და, რაც შეგიძლიათ! თქვენი ტოლი რომ ვიყავი, მთაში სამასი სული ცხვარი მებარა. ის აღარ შეგიძლიათ, ორმა ოთხი სული პირუტყვი მწყემსოთ? აგერ მიხეილა მწყემსს ქირას ვაძლევთ... თქვენი ძროხა და მოზვერიც ხომ იმას აბარია? — თქვა გაჯავრებულმა გიორგიმ და გზა განაგრძო.

ბიჭები ერთ ხანს ჩუმად ისხდნენ, შემდეგ ვახტანგმა თქვა:

— მერე რა, ვმწყემსოთ, თუ აგრეა, ძროხები.

— ვმწყემსოთ, — დაუმატა რეზომ.

ბურთის თამაში მოწყენილი ჰქონდათ. ბიჭები შეთანხმდნენ, დილაადრიან ერთად გაერეკათ საქონელი საძოვარზე.

2

სოფლის ახლო-მახლო საძოვრებში ბალახი თითქმის გამოლეული იყო, ამიტომ ბიჭებს უფრო შორს უხდებოდათ ძროხების გარეკვა. ცდილობდნენ, დილა-უთენია გაერეკათ პირუტყვი. სადილობის დრომდე კარგად დაეძღოთ ნამიანი ბალახით. მართალია, სულ ოთხი სული ებარა ორივეს, მაგრამ იმ ოთხსაც ხომ უნდოდა მოვლა!

ბიჭებს შუალამისას ყოველთვის საქანაოს ტყეში აუდიოდათ სამწყემსოები. ღალიანი ბალახით მოყირჭებული ძროხები ხარბად ეწაფებოდნენ წყაროს, გულს იჯერებდნენ და მერე ჩრდილებში დაეყრებოდნენ. ბიჭები კი მაშინვე საქმეს შეუდგებოდნენ: ან კალათებს წნავდნენ, ან გოდრებს, ან სხვა რამით იყვნენ გართულნი.

ერთ დღეს რეზო იჯდა და წიგნს კითხულობდა. ვახტანგი ხმელ ფოთლებზე გულაღმა წამოწოლილიყო და უსმენდა, თან მოკრიალებულ ცას გაჰყურებდა.

ცაზე ორი მოძრავი წერტილი გამოჩნდა. მათ მოძრაობას თვალს ვერ აშორებდა ვახტანგი. წერტილები რომელიღაც მწერებს დაემსგავსნენ, შემდეგ ფრინველებად გადაიქცნენ. თანდათან დაბლა ეშვებოდნენ, მალე ყივილიც გაისმა. ვახტანგს ეცნაურა მათი ხმა.

—რეზო, რეზო, შეხედე, არწივები! კლანჭებში რაღაც უჭირავთ, — წამოხტა და თითი გააყოლა ფრინველებს.

რეზომ თვალი მოჰკრა არწივებს, რომლებიც წიფლის ტოტებს მიეფარნენ და მერე აღარ გამოჩენილან.

ბიჭებმა მეორე დღესაც დაინახეს არწივები. ისევ ეჭირათ კლანჭებში ნადავლი, გუშინდელივით ისევ დაბლა დაეშვნენ და სადღაც გაუჩინარდნენ.

— აქ სადმე ბუდე ექნებათ; ალბათ, ბარტყებისთვის მოაქვთ საზრდო, — თქვა ვახტანგმა.

— ნამდვილად აგრეა, თორემ ნანადირევს სხვაგანაც შეჭამდნენ, — დაეთანხმა რეზო.

მესამე დღეს, როცა იგივე განმეორდა, გადაწყვიტეს, მოეძებნათ არწივის ბუდე. როცა დანაყრებული ძროხები საქანაოზე, წყაროსთან, ჩრდილში დაწვნენ, ბიჭებმა არწივის ბუდის საძებნელად გასწიეს. ჩქარა მიდიოდნენ აღმართზე, უნდოდათ, არწივების გამოჩენამდე მოესწროთ ასვლა იქამდე, სადაც, მათი აზრით არწივის ბუდე უნდა ყოფილიყო.

ბიჭები დაიქანცნენ და დასასვენებლად ჩამოსხდნენ.

— მგონი მოვტყუვდით! — თქვა რეზომ.

ვახტანგს უნდოდა პასუხად რაღაც ეთქვა, მაგრამ სწორედ ამ დროს გაისმა ყივილი. ბიჭებმა ზეცას მიაპყრეს თვალები. ყივილი თანდათან ახლოვდებოდა. ნელ-ნელა ეშვებოდნენ დაბლა და მალე, ფრთების ტლაშუნით, ორასიოდე მეტრის დაშორებით, ფრიალო კლდის თავზე აღმართულ უზარმაზარ წიფელზე დასხდნენ.

ბიჭები უმალ გაეშართნენ იქითკენ. მიდიოდნენ ფრთხილად, ფეხს არიდებდნენ ხმელ ტოტებს, რომ არ დაეფრთხოთ არწივები. ხოხვით მივიდნენ ფრიალოს თავზე აღმართულ წიფელთან. კენწეროებს მიაპყრეს მზერა და დაინახეს წვრილი ტოტებისაგან გაკეთებული ვეებერთელა ბუდე. მახლობლად ისხდნენ არწივები და მართვეებს რიგ-რიგობით აჭმევდნენ ნანადირევს. მართვეები ნახევრადტიტველ კისრებს ძაგრავდნენ, წრიპინებდნენ და ერთმანეთს ეცილებოდნენ ჭამაში. ერთ წუთში შესანსლეს ულუფა. დედა არწივმა ტოტზე გაიწმინდა ნისკარტი,



* იბეჭდება შემოკლებით.

ბოლოები გაიბერტყა და გაფრინდა. მამა არწივიც მიჰყვა.

ახლა საშიში აღარაფერი იყო და ბიჭებმა შვებით ამოისუნთქეს.

3

ბიჭები დიდხანს ფიქრობდნენ, როგორ ასულიყვნენ ხავსიან წიფელზე, როგორ ჩამოეყვანათ იქიდან მართვეები, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრეს.

— ეჰ, ამ ხეზე ასვლა არ მოხერხდება, — თქვა ბოლოს იმედგაცრუებულმა რეზომ, — ხომ ხედავ, რა მაღალია, თან დაბლა ტოტები არ აქვს. ესეც არ იყოს, ისეთ ფრიალოზე დგას, — იქიდან რომ ჩამოვარდე, დედამიწამდე სული არ ჩამოგყვება. თუ არწივებმა მოგისწრეს, ხომ მტრისას...

— ვერ ავალთ, თორემ, არწივები არაა საშიში.

იდგნენ და ნაღვლიანად შეჰყურებდნენ წიფლის კენწეროში ჩადგმულ ბუდეს.

— ნეტა ახლა ისეთი კიბე მომცა, ამ ხეს ტოტებამდე მისწვდებოდეს, — ინატრა ვახტანგმა.

— კიბე? კიბე კი არა, აი ამ ხეს შეხედე, წიფლის გვერდით რომ დგას. ნახე რა ხშირტოტებიანია! ამ ხეს შეუძლია კიბის მაგივრობა გაგვიწიოს მაგრამ ისე უნდა მოვჭრათ, — წაქცევისას წიფელს მიეყრდნოს. მასზე ადვილად ავალთ და მერე იმ წიფელზე გადავცოცდებით.

— ბიჭოს, ეგ მართლაც შეიძლება! — გაუხარდა ვახტანგს.

ბიჭებმა გადაწყვიტეს, მეორე დღესვე შედგომოდნენ საქმეს. საღამოს ძროხები ჩვეულებრივზე ადრე მორეკეს სახლში. ვახტანგის დედ-მამა ყანიდან ჯერ არ დაბრუნებულიყო. ბებია მზევინარი სათლით რომ ძროხებისკენ გაემართა, ვახტანგმა ბელლის თავზე შემოდებული ნაჯახი ჩამოიღო, ღობეს გადაევლო და გზის პირას მარტოდ მდგარ წნორთან მიირბინა.

დილით, ვახტანგმა ფუღუროდან ამოათრია ნაჯახი, ტარით ქამარში გაირჭო და ბიჭები ღიღინით გაუდგნენ გზას.

ერთი სული ჰქონდათ, როდის ავიდოდნენ ტყეში. მაგრამ საქანაოზე ასვლამდე ძროხები კარგად უნდა დანაყრებულიყვნენ.

სათიბებში თეთრი სარყები დაერჭოთ. ეს იმას ნიშნავდა, რომ იქ პირუტყვის შეშვება სასტიკად იყო აკრძალული. მაგრამ სათიბები მარტო თეთრი სარყების ანაბარა არ გახლდათ, მას მეველე—შამილა პაპა ყარაულობდა. ის კი დარწმუნებული იყო, რომ იქ პირუტყვს არავინ გააჭაჭანებდა, ამიტომ დრო ჰქონდა და კოლმეურნეობის ყანებში ხშირად დადიოდა ხოლმე სამუშაოდ. კვირაში ერთხელ ან ორჯერ ჩამოივლიდა, დაათვალიერებდა და ისევ უკან ბრუნდებოდა.

შამილა პაპა ახლაც ყანებში ეგულებოდათ ბიჭებს. გადაწყვიტეს, ძროხები სათიბის ნაპირებზე ეძოვებიათ. მუხლამდე იდგა ბალახი. მადიანად ძოვდნენ ძროხები.

შუადღისას ბიჭები უკვე საქანაოს ტყეში იყვნენ. მოსაჭრელი ხე ერთხელ კიდევ შეათვალიერეს, სახელოები დაიკაპიწეს და ნაჯახი შემოჰკრეს.

4

სამი დღე გრძელდებოდა ხის ჭრა.

მეოთხე დღეს ბიჭებს ხელისგულები დაეშუეჟათ. მალ-მალე ისვენებდნენ, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ.

უცებ, სადღაც ზემოთ, ხმელი ტოტების ლაწანი გაისმა. აშკარა იყო, ვიღაც მოდიოდა. ბიჭები შეკრთნენ.

ფეხის ხმა ახლოვდებოდა. მალე ვიღაც გამოჩნდა. უცნობი პირდაპირ ბიჭებისაკენ მოდიოდა. მოდიოდა კი არა, მორბოდა. ცოტაც და, ბიჭების წინ დაბალი და სქელი, გახვითქული ესტატე გაჩერდა.

„აი, თურმე ვინ ყოფილან!“—ჩაილაპარაკა აქოშინებულმა და ბიჭებს შეუტია:

— რატომ ჭრით ხეს?

ბიჭებმა ჯერ ერთმანეთს გადახედეს, მერე ესტატეს, რომლის ქუდზე ტყისმცველის ყვითელი ნიშანი ბრჭყვიალებდა.

— თქვენ გეკითხებით, ვინ მოგცათ ამ ხის მოჭრის უფლება?!

— რა მოხდა, სულ ასე არა ჭრიან ხეებს? — თავის მართლება სცადა რეზომ.

— ერთი ამათ დამიხედეთ, წაუგრძელებიათ ენები და მეკამათებიან კიდევაც... ვინც ხეს ჭრის, იმას უფლებაც აქვს აღებული, მაგრამ ამ ხის მოჭრის უფლება არავის აქვს, იცით თუ არა თქვენ?

ბიჭებმა ხეს შეხედეს. „ხეა და მეტი არაფერიო“, — გაიფიქრეს.

—რას უყურებთ, არ იცით, რა ხესა ჭრით?

ბიჭები კვლავ დუმდნენ.

—იცით, — რომ ეს თელაა? თელა ჩვენს ტყეებში გადაშენებას აპირებს, თქვენ კი დამდგარხართ და ატიალებთ! მომეცი ჩქარა ეგ ნაჯახი! — უბრძანა ვახტანგს.

ბიჭებს ენა ჩაუვარდათ. არ მოელოდნენ ამგვარ ბრძანებას.

— არ გესმის? — ხმამაღალი ლაპარაკიდან ყვირილზე გადავიდა ესტატე. შემდეგ მიიჭრა ვახტანგთან და ნაჯახი ხელიდან გამოგლიჯა. ბიჭებს უნდოდათ ეთხოვათ, შევედრებოდნენ, ამ ერთხელ გვაპატიეო, მაგრამ ისე იყო გაცეცხლებული, ვერ გაუბედეს.

— მე თქვენ გასწავლით ჭკუას, მე თქვენ გიჩვენებთ სეირს... აქტს შეგიდგენთ და თქვენს მშობლებს სასამართლოზე გადავცემ. აი, მაშინ გაიგებთ, რომ თელის მოჭრის უფლება ამ ქვეყანაზე არავის არ აქვს! — ბურდღუნ-ბურდღუნით გაშორდა ბიჭებს ტყისმცველი.

5

მზე ჩასვლას აპირებდა, გამწარებულ ბიჭებს ძროხები გაახსენდათ და დაფეთებულები დაეშვნენ ტაფობისაკენ. მიირბინეს წყაროსთან, მიათვალიერ-მოათვალიერ ე ს, ტყეშიც ეძებეს, მაგრამ დაკარგული ძროხები არსად ჩანდნენ.

— ჰაუუუ... რეზოოო!..

— ჰე, ჰეე!..

იპოვე?!

— ვერა, ვერაა!

ეძახდნენ ბიჭები ერთმანეთს და კვლავ განაგრძობდნენ ძებნას.

მალე დასავლეთიდან წამოსულმა საწვიმარმა ღრუბლებმა ერთიანად დააბნელეს მიდამო. საქანაოს თავზე ელვა გაიკლაკნა და სადღაც შორს ქუხილი გაისმა.

კვლავ უშედეგოდ განაგრძობდნენ ძებნას.

გორებს გადაღმიდან დიდი წვიმისა და ნიაღვრის მომასწავებელი შხუილი თანდათან ახლოვდებოდა. წვიმის მსხვილმა წვეთებმა ფოთლებზე ტყაპა-ტყუპი დაიწყეს.

— რეზო, სახლისაკაენ, თორემ ნიაღვარში მოვყვებით! — თქვა ვახტანგმა და ადგილს მოსწყდა.

გორა ჩაირბინეს, ახოებში ჩავიდნენ და სულის მოსათქმელად შეჩერდნენ. საქანაოს გახედეს, იქ უკვე კოკისპირულად წვიმდა.

აღარსად ისმოდა ჩიტების [illegible] საფარს ეძებდა ტყის ყველა ბინადარი.

ბიჭებმა გვერდით ჩაურბინეს სათიბებს, სადაც მალულად ძროხებს აძოვებდნენ ხოლმე, და წვიმაც წამოეწიათ.

ჭალაში ძახილი გაიგონეს. შეჩერდნენ.

— აქეთ, აქეთ! — კოლმეურნეობის ფერმის ყოფილი ქოხის კარებში ვიღაც კაცი იდგა და ხელს უქნევდა.

შეუხვიეს. წვიმას რომ შეაფარეს თავი, მაშინღა გაიგეს, — მეველეს მიეწვია ბიჭები. არაფრად ეჭაშნიკათ მისი დანახვა, მაგრამ გვიანღა იყო.

— გამარჯობა, შამილა პაპა!

— აი გაგიმარჯოთ, გამეზარდეთ ვაჟკაცები! — ხალისიანად უპასუხა მოხუცმა. წყენის მსგავსი არაფერი იგრძნობოდა მოხუცებულის ხმაში. „ალბათ, ჯერ არ გაუგია, რომ ჩვენმა ძროხებმა გაძოვეს სათიბები, თორემ ასე კარგად არ შეგვხვდებოდაო“, — გაიფიქრეს ბიჭებმა.

—აქეთ რა გინდოდათ? — კითხა მეველემ.

რეზომ ვახტანგს გადახედა, რა ვუპასუხოთო.

— ძროხებში ვიყავით, — უპასუხა ვახტანგმა.

— ძროხებში იყავით? მაშ, სამწყემსოები რა უყავით? — გაუკვირდა შამილა პაპას.

„დაიწყო უკვე დაკითხვა, არა სჯობდა, ჩვენს გზაზე გვევლო?“ — გაიფიქრა ვახტანგმა.

— ბიჭო, ხომ არ გადაკარგეთ? — შეშფოთდა შამილა პაპა. — აი, დედასა! ამ უამინდობაში არც გადარჩებიან მგლებს! დღე მაინც იყოს, მოძებნიდა კაცი.

— წავიდეთ, რეზო, აბა, აქ რას ველოდებით? — თქვა ვახტანგმა და კარისაკენ გაემართა. ბიჭებს ბევრად ერჩიათ, ასეთ ამინდში უგზო-უკვლოდ ევლოთ, ვიდრე შამილა პაპას სათიბებზე ჩამოეგდო ლაპარაკი.

— აბა, რას ამბობთ, ახლა წასვლა შეიძლება?! მოიცათ, მაინც სად, როგორ დაკარგეთ ძროხები? — არ ეშვებოდა შამილა პაპა.

რეზოს საერთოდ არ უნდოდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, მაგრამ ვახტანგმა რატომღაც დაიწყო და ბოლომდე მოუყვა.

— მერე, რა დრო იყო, ძროხებს რომ მიაკითხეთ? — ახლა კი საეჭვოდ იკითხა მეველემ.

— მზე ჩასვლას აპირებდა!

— ჰოდა, თქვე კაი ხალხო, მანამდე მშიერ ძროხებს ჩრდილში რა გააჩერებდა? წავიდოდნენ, აბა რა!.. ეხ... ვერაა საქმე კარგად. თანაც, ესტატეს ნაჯახი წაურთმევია... გუშინ, ან დღეს სადმე კარგ ბალახში ხომ არ გიძოვებიათ? შეიძლება კარგი ბალახი შეიგულეს და იქით წავიდნენ?

შამილა პაპას კითხვები თანდათან სათიბებს უახლოვდებოდა და ბიჭებს ტანში ციებ-ცხელება შეუდგათ. მეველე ეშმაკურად უვლიდა შორიდან. მალე შამილა პაპამ უკვე აშკარად გამომცდელი კილოთი დაიწყო:

— ძროხები რომ დაგეკარგათ, თქვენთვის სასჯელად ეგეც კმარა; მე, რა თქმა უნდა, აღარ დაგსჯით, ოღონდ გულახდილად მითხარით, ამ ერთი კვირის მანძილზე სათიბებში თქვენ აძოვებდით თუ არა ძროხებს?

ბიჭები გაჩუმდნენ, მაგრამ დუმილიც თანხმობას ნიშნავს ხოლმე ასეთ შემთხვევა-

ში, ამიტომ რეზომ იფიქრა, ამ კაცთან გულახდილობა არ ივარგებსო, და ცივ უარზე დადგა.

— გაუგებარი არ დარჩება, გავიგებ ვინ გაანადგურებინა პირუტყვს კოლმეურნეობის სათიბები, იმათ მშობლებს გამგეობის სხდომაზე ახლა მე დავაჯარიმებინებ. აი, მაშინ ისწავლიან ჭკუას...

რა თქმა უნდა, ბიჭების მისამართით იმუქრებოდა მეველე.

შამილა პაპა კითხვებს აღარ იძლეოდა და დუმდნენ სამივენი.

ბინდ-ბუნდი მინელდა, მაგრამ ადრინდელზე უფრო ბნელოდა.

შამილა პაპამ ჯიბეები მოიჩხრიკა, ასანთს გაჰკრა და ქოხის კუთხეში მიანათა, ფარანს მოუკიდა, შუშა ისევ დახურა და ბიჭების გასაგონად ჩაილაპარაკა:

— ეეხ! მე მეგონა, თქვენ ყველაზე კაი ბიჭები იყავით ჩვენს სოფელში. თქვენც იკადრეთ ჩემი მოტყუება? ჰაი, დედასა! ვაჟკაცები იზრდებით და ტყუილს კი კადრულობთ. მეოთხე დღეა, რაც თქვენ ამ სათიბებში აძოვებთ! ძროხებმა კარგი ბალახი შეიგულეს, დღეს დროზე ვერ მიხედეთ, ისინიც ადგნენ და პირდაპირ აქეთ გამოეშურნენ. მე რომ მოვედი, შუა სათიბებში ძოვდნენ. იმ წუთში თავს დავუარე და აი, ქოხსუკან ბაკში გამოვამწყვდიე ოთხივე... აბა, როგორ გინდათ ახლა, ესტატესავით მეც შევადგინო აქტი და გადავცე გამგეობას, თუ...

ბიჭები სირცხვილით იწოდნენ, ათასწილად ერჩიათ ამ კაცისთვის თვალებში არ შეეხედათ და თუნდა მიწა გასკდომოდათ.

— აღარ წვიმს... მომყევით ახლა, სახლში წავიდეთ...

შამილა პაპამ ქოხის უკან ბაკის კარი გააღო, ძროხები გამოუშვა და სოფლისაკენ დაეშვნენ.

6

დილით, რეზოს რომ გაეღვიძა, დედამისმა სათლით შემოიტანა ახალმოწველილი რძე.

— ბიჭო, აი, მარწყვამ ვედრო აავსო. გუშინ სადაც აძოვებდით, დღესაც იქ გარეკეთ, ღალიანი ბალახი ყოფილა.

„ჰმ, იქ გავრეკოთ! განა ყოველთვის გვაპატიებს შამილა პაპა“, — გაიფიქრა ბიჭმა.

— რეზო! — გაისმა ამ დროს ჭიშკართან ვახტანგის ხმა.

— მოვდივარ! — მიაძახა რეზომ და სასაგზლეს წამოავლო ხელი. ძროხებს ეზოს კარი გაუღო და მეგობარს მიესალმა.

— დღეს რომელ მხარეს გავრეკოთ?

— დღეს?... სათიბების მხარეს არა, სჯობია ახოებისკენ გავრეკოთ. იქ ჯერ კიდევ კარგი ბალახია. თან ნელ-ნელა ავყვეთ და ისევ საქანაოზე ავიდეთ.

ახოებში მართლაც კარგი ბალახი დახვდათ. ძროხები მადიანად ძოვდნენ და მეტი სიამოვნებისაგან კუდებს იქნევდნენ. შუადღისას უკვე კარგად იყვნენ დანაყრებულნი და ბიჭებმა აღმართზე არეკეს.

ტყეში, წყაროსთან ჩამოსხდნენ და სასაგზლე გახსნეს. ჭამას რომ მორჩნენ, გადაწყვიტეს არწივის ბუდე ენახათ.

თავზე გადაუარეს ფრიალოს, ახლოს მივიდნენ თელასთან და გაშტერდნენ, იგი ქარიშხალს გადაეტეხა. თელა და წიფელი ტოტებით ისე ჩახლართულიყვნენ ურთიერთს, გეგონებოდათ ჭიდაობენო.

— ვენაცვალე გუშინდელ ქარიშხალს, ჩვენი დაწყებული საქმე კეთილად დაუმთავრებია! ეტყობა, იმ თავხედს, ესტატეს აქტისა არ ეშინია! — თქვა გახარებულმა ვახტანგმა.

სწორედ ამ დროს გაისმა არწივების ყივილი და ბიჭები იმწამსვე მოტეხილ თელას ამოეფარნენ.

7

როცა არწივები გაფრინდნენ, ბიჭები ხეზე ასასვლელად მოემზადნენ, თელის ტოტს კანი აალვერეს, რამდენიმე ლოლი ერთმანეთს გადააგრიხეს და თოკი დაამ[illegible] ვახტანგმა შემოიხვია წელზე და [illegible] ასვლას შეუდგა. ადიოდა ტოტიდან ტოტზე და ასე მიაღწია ხის შუაწელს. იქიდან კი თავისუფლად ასვლა აღარ შეიძლებოდა, ტოტებს ვერ მისწვდებოდა, უნდა აცოცებულიყო.

ვახტანგი მიცოცავდა და, ის იყო ტოტისთვის ხელი უნდა წაევლო, რომ კისერში საშინელი ტკივილი იგრძნო. როგორც იქნა, ტოტზე შედგა ფეხი და ახლა ყურისძირი აეწვა. ვახტანგმა ხელი იტკიცა და ზედ რაღაც ბუზი მიისრისა. ხელზე დაიხედა და ფუტკარი იცნო. ბიჭს ნიკაპზე, შუბლზე, ლოყებზე იმდენი ფუტკარი დაესია, კინაღამ ძირს ჩამოვარდა. ვაი დედაო, გაიძახოდა და, რაც შეეძლო, ჩქარა მიცოცავდა ზევით და ზევით. კენწეროს რომ მიაღწია თავი ფოთლებში შერგო და გაინაბა.

— „ხეში ყოფილან... დასწყევლოს ეშმაკმა, ყველაფერი ჩვენ გადაგვეკიდა“, — ბრაზობდა ვახტანგი.

—ახლა მე როგორღა ამოვიდე? — ასძახა რეზომ ფოთლებში თავშერგულ მეგობარს. ხმაზე ეტყობოდა, არ სურდა ასვლა.

— მოიცადე, თოკს ჩამოგაწოდებ. წელზე შემოიხვიე, აქედან მე აგქაჩავ...

ბიჭებმა იმარჯვეს, მაგრამ კვლავ გაავდნენ ფუტკრები და რეზოც ააყვირეს...

აფორიაქებული ფუტკრები დაწყნარდნენ. ბიჭებმა ცოცვა განაგრძეს, მალე მოტეხილი თელიდან წიფელზე უნდა გადასულიყვნენ. ეს კი იოლი როდი იყო, მხოლოდ ერთი ტოტი აღმოჩნდა თელისა იმგვარად გაშვერილი, რომ შეიძლებოდა კაცს ეფიქრა ზედ გასვლა.

ვახტანგი ფიქრობდა, გაებედა და გადასულიყო „ბეწვის ხიდზე“ თუ არა. სულ ერთია, ვერ გავალთ, ტყუილად დავაკბენინეთ ფუტკრებს თავი, — თქვა გულგატეხილმა რეზომ.

— როგორ თუ ვერ გავალთ?

ვახტანგმა წელზე შემოხვეული ლაფანის მეორე ბოლო ტოტს გამოაბა საიმედოდ.

— რეზო, თუ ღმერთი გაწყრა და ფეხი დამიცდა, ამ თოკით დავეკიდები. შენ კი ამომწიე და ამომიყვანე.

— მერე და, გაგიძლებს?

— ახალი ლაფანია, ბიჭო, მე კი არა. კამეჩს გაუძლებს. მივდივარ...

ვახტანგმა ხელები გაშალა და გადადგა პირველი, მეორე... შემდეგ მესამე ნაბიჯიც უნდა გადაედგა მაგრამ წონასწორობა დაკარგა. შეშინებულმა რეზომ თვალებზე ხელები აიფარა. მარცხნივ გადახრილმა ვახტანგმა ალალბედზე წაატანა ხელი ტოტს, არც ეგონა, თუ მისწვდებოდა, მაგრამ მოხდა სასწაული და ტოტს ჩაეჭიდა.

— ვახტანგ! ვახტანგ! — აყვირდა რეზო, აღარ იცოდა რა ეთქვა, ისე იყო მეგობრის სიმარჯვით გახარებული. შემდეგ ტოტს ლაფანი შეახსნა და ვახტანგმა კვლავ განაგრძო აცოცება.

ბუდეში, შეშფოთებული ბარტყები ერთმანეთს ეკვროდნენ. თითქოს გრძნობდნენ, რაღაც განსაცდელი უახლოვდებოდათ. მართლაც, სულ მალე ვახტანგის ხელში აღმოჩნდნენ.

8

ბიჭები უსიტყვოდ მიჰყვებოდნენ საქონელს და ისევ ესტატეს აქტზე ფიქრობდნენ. ვახტანგს შინ მხოლოდ ბებია დახვდა.



— ვაიმე, შვილო, რას გიგავს სახე, რა მოგსვლია? — შეიცხადა ბებია მზევინარმა. — იჩხუბე?

— საჩხუბარი რა მქონდა, ბებო, ფუტკრებმა დამკბინეს.

— მოუსვენარი რომ ხარ, აგრე მოგიხდება! გტკივა?

— ახლა აღარა მტკივა, ბებო.

— ვახტანგ! — გაისმა ამ დროს ჭიშკართან.

ბიჭს გაეხარდა და ჭიშკრისკენ გაქანდა. ჩობანამ მიასწრო და ღობის შიგნიდან შეუტია მოსულს. ვახტანგი ძაღლს გაუწყრა და ჭიშკარი გააღო. შამილა პაპა იდგა.

— მობრძანდით, — შეიპატიჟა ბიჭმა.



— არა, შვილო, ამდენი არა მცალია. აბა, აქ მოდი! — შამილა პაპამ თითი დაუქნია, — ახლოს მოდი, საიდუმლო უნდა გითხრა.

— დღეს ესტატე შემხვდა, — დაიწყო შამილა პაპამ.

— მართლა?

— თქვენზე ვკითხე. ძალიან გაჯავრებული იყო. თელები სატყეო მეურნეობას აღრიცხული აქვს, თვლით ჩამაბარეს, ბიჭებმა კი მოჭრეს, ამაზე პასუხს მე მაგებინებენო.

— მერე?

— ველაპარაკე, თუ მთლიანად არ არის მოჭრილი, შეხორცდება-მეთქი, და, როგორც იქნა, დავამშვიდე. აქტი დავახევინე და ნაჯახი გამოვართვი. მე ვარ თავდები, — ის ბიჭები ტყეში ხეს აღარ მოჭრიან-მეთქი. აჰა, ნაჯახი, წაიღე და ადგილზე დადე, მორჩა და გათავდა...

— შამილა პაპა, ის თელა წუხელ ქარიშხალს მოუტეხია.

— რას მელაპარაკები, მართლა?... — ეწყინა ბერიკაცს.

— დღესა ვნახეთ.

— ჯანდაბას იმ ერთი ხის თავი. არ მოტეხილიყო, კარგი იყო, მოტყდა და თავს ხომ ვერ მოვიკლავთ... ახლოს მოიწი, ბიჭო, ეგ რა არის, სახე რად დაგსიებია?

— ფუტკრებმა დამკბინეს...

— ჰო, მე მეგონა, რამე სხვა გჭირდა. ფუტკრის შხამი ცოტა სამკურნალო წამალია, მოგიხდება კიდეც... აბა, კარგად იყავი! — თქვა და წავიდა.

ვახტანგი სახლისაკენ გაიქცა. ნაჯახი საიდანაც აიღო, იქვე შეინახა და რეზოსკენ მოუსვა. გამოიხმო და აქტის დახევის ამბავი ახარა.

შინ დაბინდებისას დაბრუნდა. დედ-მამა მინდვრიდან მოსულიყო. ბებიას ძროხა მოეწველა და ახლა ვახშამს აწყობდა. ლამპა აანთეს. მამამ შენიშნა ვახტანგის დასიებუბული სახე.

— რამ დაგისია, ბიჭო, სახე? — შუბლი შეიკრა გიორგიმ.

— ფუტკრებმა დამკბინეს! — ჩაიდუდუნა ვახტანგმა.

— სად გქონდა ასეთი ბედნიერება, ამდენ ფუტკარს სად გადაეყარე?

ვახტანგს მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი არ გამოუვიდა და თავიდან ბოლომდე მოუყვა, რაც იმ დღეებში გადახდათ.

— მერე, რა უყავით მართვეები? — იკითხა ბოლოს მამამ.

— გოდორში ჩავსვით, ზემოდან ლასტი დავაფარეთ და საქანაოზე წყაროსთან ხეზე შევდგით.

— ხვალ რა დღეა? — იკითხა გიორგიმ.

კვირააო, უპასუხეს. გიორგის მეტი არაფერი უთქვამს, არც უკითხავს რამე, სუფრა გაწყობილი იყო და ვახშმობას შეუდგნენ.

9.

თენდებოდა. გიორგიმ ბიჭს საბნის გარეთ დარჩენილ მკლავზე ხელი მოჰკიდა და გააღვიძა.

— ჩაიცვი, წავიდეთ.

— სად მივდივართ? — იკითხა ნამძინარევმა ბიჭმა.

— ჩაიცვი და გეტყვი!

ხუთი წუთის შემდეგ ორივე მზად იყო წასასვლელად. მამამ ბეღლის თავზე შემოდებული ნაჯახი აიღო, ფხა გაუსინჯა და ქამარში გაირჭო.

— მამა, ძროხები? — იკითხა ბიჭმა.

— ძროხები რეზოს დაუტოვე. იქით ავივლით, შეირბინე და უთხარი ნელ-ნელა, ძოვებ-ძოვებით გამორეკოს და შუადღემდე საქანაოზე წყაროსთან ამოვიდეს, ჩვენ იქ დავხვდებით.

ვახტანგი გზაზე დაწინაურდა და რეზოსთან შეუხვია.

— მამაშენს იქ რა უნდა? — შეშფოთდა ნამძინარევი რეზო.

— არც მე ვიცი! — მხრების აჩეჩვით უპასუხა ვახტანგმა.

— კარგი, ძროხებს მე გამოვრეკავ, ნეტა სხვა მხრივ იყოს მშვიდობა ჩვენს თავზე.

* * *

გზაზე წარამარა ეკითხებოდა ვახტანგი მამას, საქანაოზე რა გაინტერესებსო, მაგრამ გიორგი ერთსა და იმავეს პასუხობდა.

— იქ გაიგებო.

— ის კი არა, შენ ეს მითხარი, მართვეებისათვის რა მოგაქვს საჭმელი? —

— გამომცხვარი პური, — თქვა ვახტანგმა.

— პური რად უნდათ, არწივები ხორცით იკვებებიან. წამოდი, ხევზე ჩავიდეთ და ორიოდე ბაყაყი მაინც დაუჭირე.

ბიჭმა იყოჩაღა და ორის მაგიერ ოთხი დაიჭირა. ბუერას დიდ ფოთლებში ცოცხლად შეახვიეს და აღმართს შეუდგნენ.

ვახტანგმა მამა პირველად წყაროსთან მიიყვანა, შემდეგ იმ ხესთან, რომელზედაც წინა საღამოს მართვეებიანი გოდორი შედგეს. მართვეები იქვე იყვნენ. შიშჩამდგარი თვალებით იყურებოდნენ გოდრიდან.

მართვეები დაანაყრეს, გოდორი ისევ ხეზე შედგეს და მოტეხილი თელისაკენ გასწიეს.

გიორგიმ შეათვალიერა ფრიალოს თავზე აღმართული წიფელი და ტანში შიშის ჟრუანტელმა დაუარა. ასეთ ხეზე ასვლა როგორ გაბედესო. შემდეგ მოტეხილ თელას შეავლო თვალი და იკითხა:

— აბა, ბიჭო, სად დაგკბინეს ფუტკრებმა?

— აგერ, მამა, ამ ხეზე, პატარა ფუღურო რომ მოჩანს მრუდე ტოტთან, — თითით ანიშნა ბიჭმა.

გიორგიმ თვალებზე ხელი მოიჩრდილა და გახედა.

— ჰოო, არის, არის! საკვირველია, აქამდე როგორ დარჩა შეუმჩნეველი! ბიჭო, ფუტკარი გიპოვნიათ და არც კი გიხარიათ!

„აი, თურმე რა აინტერესებდა მამას“, — გაიფიქრა ბიჭმა და გაუხარდა.

10.

გიორგის ბევრი აღარ უფიქრია. თელაზე ავიდა, დაათვალიერა, ჩამოვიდა და მოტეხილს ახლა მოჭრა დაუწყო. ვახტანგი იჯდა და უყურებდა.

ღონიერ კაცს ნახევარი საათის მუშაობაც არ დასჭირვებია, წიფელზე მიყრდნობილი თელა შეირხა, გვერდზე გადაიწია, ძირი გაუქანდა და მიწაზე ლაწანით დაეშვა. გიორგი იმწამსვე გაიქცა და სათვალე ფოთლებით დაუგმანა.

— ვახტანგ, წადი და სახლიდან ბირდაბირი ამოიტანე. გადავხერხოთ, თორემ ეს ხე ცულით რომ გადავჭრათ, ფიჭა ერთმანეთში აიზილება, რაღად გინდა მერე? მოსაშენებლად აღარ ივარგებს. აბა, შენ იცი, მალე უნდა მოხვიდე.

— მალე მოვალ! — თქვა ბიჭმა და დაღმართზე დაეშვა.

* * *

უკან მობრუნებული ვახტანგი მოტეხილ თელას რომ მიუახლოვდა, ხმამაღალი ლაპარაკი გაიგონა. ჯერ ეგონა, რეზოაო, მაგრამ ხმა ეუცხოვა. შემდეგ უფრო ახლოს მივიდა და ხედავს: განრისხებული ესტატე ყვირის და ქაქანებს. ვახტანგი რომ დაინახა, უფრო აყვირდა.

— აი, ეს იყო, ეს ხომ შენი ბალღია? ეს ჭრიდა ხეს; მაგას წავართვი ნაჯახი, აქტიც დავწერე, სასამართლოზე უნდა გადამეცა, მაგრამ გაპატიეთ; იმიტომ გაპატიეთ, რომ ხე მთლიანად არ იყო მოჭრილი. ვფიქრობდი, შეხორცდება-მეთქი. თქვენ კი ამდგარხართ და მთლიანად მოგიჭრიათ.

ესტატე გიორგის ლაპარაკს არ აცლიდა. გიორგი ამაოდ ცდილობდა ესტატესათვის

ეროვნული

გაეგებინებინა, რომ თელა ქარიშხალმა მოტეხა.

— მე ეგ არ მაინტერესებს, თავი სასამართლოზე გაიმართლე, — თქვა ესტატემ და დამუქრებული წავიდა.

მამა-შვილმა ხეს ჯერ ძირი გადაახერხეს, შემდეგ წვერი. ხელკეტები გამოჭრეს, ფუტკრიანი ხე ძირით შეატრიალეს და ნელ-ნელა დააქანეს. წყაროსთან რეზო დახვდათ. შეხედა თუ არა ხეს, უთქმელად მიხვდა ყოველივეს.

დაუზარებლად ეხმარებოდნენ ბიჭები გიორგის. უვნებლად ჩაიტანეს ფუტკარი ჭალაში. იქიდან რეზო ისევ ძროხებისაკენ გაბრუნდა. მამა-შვილმა კი ხარ-ურმით ფუტკრიანი ხე შინ მშვიდობიანად მიიტანა.

* * *

ვახტანგი საღამო ხანად ძროხებს სოფლის თავში დახვდა. რეზოს მართვეებიც თან წამოეყვანა. ძალიან გავწვალდი, საქონელი სათიბებისაკენ მეპარებოდა, — ჩიოდა. ვახტანგმა კი ახარა, ფუტკარი მშვიდობიანად დავაბინავეთო.

სოფლის გზაზე, კაკლობანას მოთამაშე პატარა ბიჭები შემოხვდნენ. საქონლის მიახლოებისას ბიჭებმა კაკლები ხელში აიტაცეს და გვერდზე მიდგნენ, არ გვირქინონო.

რეზომ და ვახტანგმა მათ ცხვირთან ჩაატარეს თვალებბრიალა მართვეები. ბიჭებმა თვალი მოჰკრეს თუ არა, უკან აედევნენ.

— ვაი, უვავის ბახალები! — წამოიძახა ერთმა, რომელიც მათში ყველაზე დიდი იყო.

— უვავის ბახალაო?! — იწყინა ვახტანგმა.

— რას იბერებით, რა გიკვირთ! გუშინ პავლე მონადირემ შვლის ნუკრები მოიყვანა ტყიდან, მაგრამ თქვენსავით კი არ იბერებოდა.

— მერე, არ დაეჭლანე, მაჩუქეო? — გამოაჯავრა ვახტანგმა.

ბიჭი გაჩუმდა. ეტყობოდა, ეთხოვა, მაგრამ, რა თქმა უნდა, გააწბილეს.

11.

ბიჭებს დღისით ტყეში თან მიჰყავდათ მართვეები, ღამით ბებია მზევინარისაგან დროებით ნათხოვარ გოდორში აბინავებდნენ. მაგრამ როდემდე უნდა გაგრძელებულიყო ასე? საჭირო გახდა გალიის გაკეთება.

ვახტანგმა ითავა, მე გავაკეთებო. ორ დღეს მუშაობდა ხერხით, შალაშინით, ნაჯახითა და ჩაქუჩით, ბოლოს, მართლაც, მშვენიერი გალია გამოუვიდა. პირველად მართვეები თავს უხერხულად გრძნობდნენ გალიაში, მაგრამ რა მეტი გზა ჰქონდათ, ბედს შეურიგდნენ. ბიჭებს სულაც არ უჭირდათ მათი გამოკვება.

მართვეებს მთელი დღე თავსაყრელად ჰქონდათ ბაყაყები, თაგვები, ღნავები და ჩიტები.

ერთ საღამოს ვახტანგის მამამ სათიბიდან ორი ბაჭია მოიყვანა. თიბვის დროს დაეჭირა. ვახტანგი ცას შესწვდა სიხარულით, მაგრამ მალე დაღონდა; როგორ მოვუარო, ამათაც ხომ ტყეში ვერ ვატარებო. ისევ რეზომ გამონახა გამოსავალი.

— ხვალ ისევ შინ დარჩი და ბაჭიებისთვისაც გააკეთე გალია. მერე რიგ-რიგობით დავრჩეთ, ბაჭიებსაც მოვუაროთ და მართვეებსაც.

ვახტანგს მოეწონა რჩევა და შინ დარჩა. მართვეებს ნანადირევი მიართვა, ბაჭიებს — ნამიანი ბალახი. შემდეგ გამოიტანა იარაღები, დადგა დაზგასთან და მუშაობას შეუდგა.

სოფლის ბავშვებში ხმა გავარდა: რეზოს და ვახტანგს არწივები და ბაჭიები ჰყავთ, გალიებს თვითონვე აკეთებენო. მოდიოდნენ მნახველები.

შუადღისას კლასის ამხანაგი, ელიკო თეთრაული ესტუმრა ვახტანგს.

ელიკოს ძალიან მოეწონა გალიები, მიუალერსა შემკრთალ ბაჭიებს, უნდოდა არწივებსაც მოფერებოდა, მაგრამ მართვეებმა ჭანგები მოამზადეს, თვალები აბრიალეს.

— ვახტანგ, ერთი რამ რომ გთხოვო, შემისრულებ? — მოულოდნელად ჰკითხა ელიკომ.

ვახტანგს ხმა არ ამოუღია, მაშინვე კაკლობანას მოთამაშე ბიჭი გაახსენდა. ის ერთი მაინც როგორ ეჭლანებოდა, მართვეები მაჩუქეთო. ელიკომაც რომ იგივე თხოვოს?

— შეგისრულებ!

— ერთი გალია მეც გამიკეთე. ორი გარეული მტრედის ხუნდი მყავს და გალია მჭირდება.

ვახტანგს გულზე მოეშვა, რაკი თხოვნა არც არწივებს ეხებოდა, არც ბაჭიებს.

— კარგი, თუ მოვასწარი, დღესვე გაგიკეთებ.

— იცი, ვახტანგ! — ელიკოს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ გაჩუმდა,

— რა გინდა, ელიკო, თქვი!

— რა და... ჩემი მტრედები, თქვენი არწივები და ბაჭიები სექტემბერში სკოლაში მივიყვანოთ.

— სკოლაში? იქ რადა?

— მეშვიდეკლასელებმა ცოცხალი ბუნების კუთხე მოვაწყოთ.

რატომღაც ამაზე არასოდეს უფიქრიათ არც ვახტანგს და არც რეზოს. ისე კი, კაცმა რომ თქვას, მართლაც შეიძლება სკოლაში ცოცხალი ბუნების კუთხის მოწყობა, მაგრამ...

— ელიკო, მარტო მტრედების, ბაჭიებისა და არწივებისაგან აბა რა გამოგვივა? ბიჭებს სიცილად არ ეყოფათ.

— მარტო ამათგან რადა, კიდევ დავუმატოთ. თუ მოვძებნით, ხომ შეგვიძლია მოვიყვანოთ მაშვის, კოდალას ან სხვა ფრინველების ბარტყები...

— ბარტყები კი არა და, იცი, ფრიდონამ რა თქვა? პავლე მონადირემ შვლის ნუკრები დაიჭირაო. აი, ის ნუკრები რომ ჩვენ გვყავდეს, მაშინ მართლაც შეიძლებოდა, არა?

— ვინაო? — ყურები ცქვიტა ელიკომ.

— პავლე მონადირემაო!

დაზგაზე შემომჯდარი გოგონა ჩამოხტა და ტაში შემოჰკრა:

— რაც მითხარი, მართალია?

— აგრე მითხრეს და...

— თუ მართალია, ის ნუკრები დღესვე ჩვენი იქნება! პავლე ბიძაა ჩემი.

— შენ თუ იმ ნუკრებს ხელში მართლა ჩაიგდებ... მაგრამ ეჰ!.. ამაზე ოცნებაც კი ზედმეტია!

— მივდივარ! — თქვა ელიკომ და გაიქცა.

12.

საღამოს ელიკო და ვახტანგი სოფლის თავში დახვდნენ რეზოს.

— სამახარობლოს რას ჩამოდიხარ?

რეზო გაშტერდა. ვახტანგის სიტყვებიდან ვერაფერს მიხვდა. ვერც იმას მიხვდა, ელიკოს სოფლის თავში შეგებება რას ნიშნავდა.

— კარგი რამე უნდა გითხრა, [illegible] გაგეხარდება, — აღტაცებული ლაპარაკობდა ელიკო.

— რა უნდა მითხრათ ისეთი...

ამასობაში ვახტანგის ეზოშიც შევიდნენ.

— აქეთ წამოდი! — ელიკომ და ვახტანგმა ხელი ჩაავლეს და რეზო საბძლისაკენ გაიყოლეს. ვახტანგმა ჯიბიდან ბაწარშებმული გასაღები ამოიღო და საბძლის კარზე ჟანგიან ბოქლომს ჩხიკინი დაუწყო. რეზო ვერ მიხვედრილიყო, საბძელთან რა საერთო ჰქონდა სიხარულს.

კარი სულ ოდნავ შეაღო ვახტანგმა და რეზოს დაუძახა, აბა, შეიხედეთო.

რეზომ შეიხედა.

— ეს რა არის?! — წამოიყვირა უმალვე. — შვლის ნუკრები?! საიდან?!

უამბეს, რომ ელიკოს ბიძამ, პავლე მონადირემ დაიჭირა ისინი ტყეში და დღეს ელიკოს აჩუქა.

— რეზო, იცი რა?.. პირველ სექტემბერს სკოლაში უნდა წავიყვანოთ, ნუკრები, კურდღლები, მტრედები, არწივები და ფუტკარი.

— სკოლაში? იქ რატომ?

— ცოცხალი ბუნების კუთხე მოვაწყოთ! ჩვენი კლასელებიც მოგვეხმარებიან, პიონერხელმძღვანელიც, მასწავლებელიც...



— ნორჩ ნატურალისტთა წრეში გავერთიანდებით, — დაუმატა ვახტანგმა.

ბევრი ისაუბრეს იმაზე, თუ რა მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა სკოლაში არწივების, ნუკრებისა და ფუტკრის გამოჩენა.

18.

მალე იმდენი საქმე გაუჩნდათ ბიჭებს, რომ ძროხებისათვის სადლა ეცალათ. ბებია მზევინარს უამბეს, ამას და ამას ვაპირებთ, ამისა და იმის გაკეთება გვინდა, ჰოდა, ძროხები ისევ მიხეილას მივაბაროთო.

ბიჭებმა გადაწყვიტეს სექტემბრამდე ვახტანგის სახლის წინ ხილის ბაღში მოეწყოთ სადგომი ნუკრებისათვის. შეუდგნენ კიდევაც მუშაობას. ღობე საიმედოდ შეაკეთეს, ისე, რომ ნუკრების გაძრომა-გაპარვაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

გრილოდა ბაღში. მწვანე მოლი ხალიჩასავით გაშლილიყო. პატარა ნაკადულიც გამოიყვანეს, და ნუკრები თავს ისე გრძნობდნენ, როგორც ტყეში — მშვიდად იყვნენ, თუ მათთან ახლოს მისვლას არავინ მოისურვებდა.

ბიჭებმა გალიებიც გარეთ, ხეებზე მოაწყეს მოხერხებულად.

სოფელში ხმა დადიოდა, ვახტანგს, რეზოს და ელიკოს ზოოპარკი მოუწყვიათო, და მთელი სოფლის ბავშვები მოდიოდნენ სანახავად, მარტო ბავშვები კი არა მოზრდილებიც.

„ნუ გააბრაზებთ ცხოველებს!“ — მელნით ეწერა მუყაოს ნაჭერზე, რომელიც ჭიშკართან, ვაშლის ტოტზე ეკიდა.

ბავშვები გაოცებულები უყურებდნენ, როცა ვახტანგი და რეზო არწივებს გალიის კარს გაუღებდნენ, დაუსტვენდნენ და ფეხმოტეხილ წრუწუნას მიუგდებდნენ.

— ხვალ ვინც არწივების სანახავად მოვა, ვალდებულია მოიყვანოს ბეღურა, ან თაგვი, — გამოაცხადა ერთ დღეს რეზომ.

და მთელი დღე შურდულის ქვების ზუზუნი იყო სოფელში... შემდეგ მოდიოდნენ ბავშვები და მოჰქონდათ ფრთამოტეხილი ბეღურები, ფეხმოტეხილი თაგვები...

იწურებოდა ზაფხული, ახლოვდებოდა სექტემბერი,

14.

პირველ სექტემბერს დილიდანვე ჟრიამული ატყდა სკოლაში: მეშვიდეკლასელებს რაღაც გაუკეთებიათო.

გაკვეთილების შემდეგ სკოლის ბაღში დირექტორი, ბიოლოგიის მასწავლებელი, პიონერხელმძღვანელი და დურგალი რაღაცის აშენებასა და გაკეთებაზე საუბრობდნენ.

— უპირველეს ყოვლისა, ეს ბაღი ისე უნდა შემოიღობოს, რომ ნუკრები არ გაიპარონ, შიგვე უნდა აშენდეს მათი სადგომი, სადაც წვიმის დროს შეეფარებიან. ბაღზე ანკარა წყალმა მუდმივად უნდა იდინოს, უნდა გაკეთდეს ბაგა, რომელშიც დამატებით საკვებს მიიღებენ... — ლაპარაკობდა ბიოლოგიის მასწავლებელი.

— საფუტკრე? — იკითხა დირექტორმა.

— საფუტკრე ამავე ბაღში უნდა გაკეთდეს, ოღონდ ნუკრებიდან დაშორებით. ფრინველები ჭერჭერობით ბიოლოგიის კაბინეტში გვეყოლება, ვიდრე ახალი ტიპის გალიებს დავამზადებდეთ. მერე ფრინველებსაც აქ მოვაწყობთ. ყველაფერ ამას შემოვღობავთ და „ცოცხალი ბუნების კუთხეს“ ვუწოდებთ. შიგნით იქნება „ნორჩ ზოოლოგთა“, „ნორჩ მეფუტკრეთა“, „ნორჩ მეფრინველეთა“ და სხვა განყოფილებები.

ცოცხალი ბუნების კუთხის მოწყობაში ხელოსანს პიონერებიც მიეხმარნენ. ძია პავლეს ისე მოეწონა მათი საქმე, რომ სულ „აი, იცოცხლეთ, ბიჭებო!“ გაიძახოდა. ერთი კვირა მოანდომეს სამუშაოს. შესასვლელ კარებთან გააკრეს აბრა — „ცოცხალი ბუნების კუთხე“.

სკოლის დირექტორმა კოლმეურნეობისაგან საბარგო ავტომანქანა ითხოვა. სკოლაში გადმოაბინავეს ნუკრები, არწივები, ბაჭიები, ხუნდები და ფუტკარი.

ერთ დილას შეკრება მოეწყო სკოლის ბაღში. დირექტორს ესტატეც მიეწვია. თავისი სიტყვის დასასრულს მოულოდნელად გამოაცხადა: — სიტყვა ეძლევა ცოცხალი ბუნების ერთგულ მცველსო.

ესტატე წამოწითლდა. ქუდი მოიხადა და რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერაფერი მოახერხა. მერე უბის ჯიბიდან სასამართლოზე გადასაცემი აქტი ამოიღო და დახია.

დირექტორმა წითელი ლენტი მაკრატლით გაჭრა და ცოცხალი ბუნების კუთხეში შევიდნენ პირველი მნახველები. მეორე დღეს ბიოლოგიის მასწავლებელმა ჩამოაყალიბა ნორჩ ბიოლოგთა, მეფრინველეთა და მეფუტკრეთა წრეები. ჰოდა, რეზოს, ელიკოს, ვახტანგს და მათ ამხანაგებს უამრავი საქმე გაუჩნდათ.

15.

მას შემდეგ კარგა ხანმა განვლო.

ერთ ზაფხულს იმ სოფელში მომიხდა ჩასვლა და აი, რა მიამბეს: ელიკომ, ვახტანგმა და რეზომ სკოლა უკვე დაამთავრეს, ახლა კოლმეურნეობაში მუშაობენო. რეზოს მეცხვარეობის ფერმა ჩააბარეს, ხან მთებშია, ხან საზამთრო საძოვრებზე. ელიკო მეფრინველეობის ფერმაში მუშაობს, ხოლო ვახტანგი მეფუტკრეა, დღე და ღამე თავს დასტრიალებს არტელის ფუტკარსო.

ნუკრები ტყვეობას შეურიგდნენ და გამრავლდნენ. ახლა იმ სკოლაში ათამდე შველი ჰყავთო. ყველაზე კარგად მოამრავლეს ფუტკარი, მაგრამ არწივების მომრავლება როგორღაც ვერ მოხერხდაო.

სკოლას რომ ამთავრებდა ვახტანგს უთხოვია დირექტორისათვის არწივები გავათავისუფლოთო. გაუღიათ გალიის კარი, მაგრამ არწივები შორს არ გაფრენილან. პირველ ხანებში თურმე სკოლის სახურავზე იბუდებდნენ საღამოობით, შემდეგ კი უფრო შორს გაჩვეულან და ახლა ხანდახან კიდევ გამოჩნდებიან, სკოლის თავზე ირაოს ავლებენ და ჰყივიან.



# ოქროს მიწა



(ეთიოპური არაკი)

ამბობენ, ოდესღაც ეთიოპიაში ორი ევროპელი მოგზაური ჩასულა, დაუთვალიერებიათ ქვეყნის ყოველი კუთხე, შეუდგენიათ მისი მთების, გზებისა და მდინარეების რუკები.

მოგზაურთა ამბავმა ეთიოპიის იმპერატორის ყურამდე მიაღწია თურმე. დასახმარებლად მეგზურები გააყოლა სტუმრებს. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ევროპელებმა თავიანთი სამუშაო დაამთავრეს, მეგზურები ადის-აბებაში, ეთიოპიის დედაქალაქში დაბრუნდნენ და იმპერატორს უამბეს:

— ყველაფერი, რასაც ისინი ხედავდნენ, რუკაზე გადაჰქონდათ. მოგზაურები იყვნენ ნილოსის სათავესთან და მთიდან მდინარის დინების მიმართულებით დაეშვნენ. მთებში ვერცხლსა და ოქროს ეძებდნენ, რუკაზე აღნიშნეს ყველა გზა და ბილიკი.

იმპერატორი დიდხანს ფიქრობდა იმაზე, თუ რას აკეთებდნენ ევროპელები. ბოლოს მათთან კაცი გაგზავნა და შეუთვალა: გამგზავრების წინ თქვენი ნახვა მინდაო. ევროპელები სასახლეში მივიდნენ. იმპერატორი მიესალმა მათ, გაუმასპინძლდა და ძვირფასი საჩუქრებით დაასაჩუქრა. ხოლო, როცა წასასვლელად გაემართნენ, იმპერატორმა მათ გამცილებლად რამდენიმე მსახური გააყოლა.

ის-ის იყო ევროპელების ნავი ნაპირს უნდა მოსცილებოდა, რომ იმპერატორის მსახურებმა იგი შეაჩერეს და ფეხსაცმელების გაძრობა სთხოვეს სტუმრებს. მსახურებმა დაბერტყეს ფეხსაცმელები, ტალახი ჩამოაფხიკეს და მხოლოდ შემდეგ დაუბრუნეს უკან.

ევროპელები გაოცდნენ. ეს, რომელიღაც უცანური ეთიოპური ჩვეულება ეგონათ.

— რატომ გააკეთეთ ასე? — იკითხეს გაოცებულებმა.

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

მაშინ იმპერატორის წარგზავნილებმა უპასუხეს:

—თქვენ საკუთარი თვალით ნახეთ ყველაზე მშვენიერი ქვეყნის მიწა-წყალი. ეს მიწა ძვირფასია ჩვენთვის. ამ მიწაში ვყრით თესლს, ამ მიწაში ვმარხავთ მიცვალებულებს, მუშაობისაგან დაღლილები ამ მიწაზე ვწვებით დასასვენებლად, მის მინდვრებზე ვაძოვებთ საქონელს. ბილიკები, რომლებზეც თქვენ დადიხართ, ჩვენი წინაპრების ფეხებმა, ჩვენმა და ჩვენი შვილების ფეხებმა გატკეპნეს. ეთიოპიის მიწა ჩვენი მამაცაა, დედაცაა და ღვიძლი ძმაც. ჩვენ სტუმართმოყვარეობა გაგიწიეთ, ძვირფასი საჩუქრები მოგართვით, მაგრამ ეთიოპიის მიწა ყველაფერზე უფრო ძვირფასია, რაც გვაბადია, და ამიტომ ამ მიწის პატარა პეშვიც კი არ შეგვიძლია გაგატანოთ.

თარგმნა თ. ნადარეიშვილმა

---

## ინგლისური იუმორი

### ვერ მიათვალა

ფერმერმა თავის ვაჟიშვილს დაავალა, ფერმის ეზოში გოჭები დაეთვალა. ბიჭი დაბრუნდა და თქვა:

— მამა, ოცი გოჭი დავთვალე, ერთი პატარა კი ისე სწრაფად დარბოდა, ვერაფრით ვერ მივათვალე.

### მზე და მთვარე

ტომმა ჰკითხა ჯეკს:

— შენი აზრით რომელი უფრო სასარგებლოა — მზე თუ მთვარე?

ჯეკმა უპასუხა:

— მე ვფიქრობ, რომ მთვარე უფრო სასარგებლოა, რადგან ის ანათებს ღამე, როდესაც ბნელა; მზე კი დღე ანათებს, როდესაც ისეც სინათლეა და არავის სჭირდება.

### სიით უკანასკნელი

(ინგლისის სკოლებში მოსწავლეებს სიაში არა ალფავიტის, არამედ აკადემიური მოსწრების მიხედვით წერენ).

**მამა:** (ვაჟიშვილს) ფრედ, რომელი ხარ სიით?

**ფრედ:** ოცდამეექვსე.

**მამა:** სულ რამდენი ხართ კლასში?

**ფრედ:** ოცდაექვსი.

(ერთი თვის შემდეგ)

**მამა:** ფრედ მერამდენე ხარ სიაში ამ თვეში?

**ფრედ:** ოცდამეშვიდე.

**მამა:** ეს როგორ შეიძლება? კლასში ხომ ოცდაექვსი ბავშვი ხართ?

**ფრედ:** არა, მამი, ერთი ახალი მოსწავლე მოგვემატა.

თარგმნა **მანანა ანთაძემ,**
**თბილისის 58-ე სკოლის მოსწავლე.**



თ. სახაროვი

ფოტო ავტორისა

[illegible]

1934-35 სასწავლო წელს, თბილისში, ვახტანგ ჭაბუკიანის ხელმძღვანელობით დაარსდა ქორეოგრაფიული სტუდია, რომელიც 1957 წელს გადაკეთდა ქორეოგრაფიულ სასწავლებლად. ჩვენი ვრცელი დედასამშობლოს მრავალი ქალაქის მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვის, მაგადანის და კიდევ ვინ მოთვლის ამ ქალაქების თეატრებს, რომელთა სოლისტები თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის კურსდამთავრებულები არიან.



კლასიკის გაკვეთილი. [illegible]



[illegible]

# ქორეოგრაფიულ სასწავლებელში

ვინ არ მოხიბლულა საქართველოს სახალხო არტისტის ზურაბ კიკალეიშვილისა და საქართველოს დამსახურებული არტისტების ვერა ჭაბუკიანის, ლილიან მითაიშვილის, ბექნარ მონავარდისაშვილისა და სხვათა შესანიშნავი ოსტატობით. ყველა ესენი კი ამ სასწავლებელში ვახტანგ ჭაბუკიანის ხელმძღვანელობით აღიზარდნენ.

ამჟამად სასწავლებელში, [illegible] დიდი ჯგუფი ეუფლება საბალეტო ხელოვნებას. ოთხი წელს დაამთავრებენ სასწავლებელს და სულ მალე თავიანთი მშობლიური თეატრის სცენას დაამშვენებენ.

ამას წინათ სასწავლებლის პირველ მოსწავლეებს ვეწვიეთ და ეს რამდენიმე ფოტოსურათი იქ გადავიღეთ მეცადინეობის დროს.



[illegible]



[illegible]



[illegible]



[illegible]



[illegible]



[illegible]

8707

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შვიდი ჭკვისკოლოფი



**მაყვალა მრევლიშვილი**

იყო და არა იყო რა,
ოჯახი იყო დიდი,
ოჯახში იყო შვიდი ძმა —
ჭკუის კოლოფი შვიდი.
ერთხელ შორ გზაზე წავიდნენ,
წყალზე შემოხვდათ ხიდი,
გაღმით მშვიდობით გავიდა
ჭკუისკოლოფი შვიდი.
— ძმებო, ხომ არვინ ჩავცვივდით? —
უცბად ჩაფიქრდა ერთი
და ძმების დათვლას შეუდგა,
იქვე რომ ჰყავდა გვერდით:
— ერთი, ეს — ორი, ეს — სამი,
ოთხი, ხუთი და ექვსი!
თავისი თავი გამორჩა,
ვერ მიათვალა ძმებში.
— ბიჭოს! მეშვიდე რა გვექნა?
გადავირიე კაცი!
თვითონ მეშვიდე ტირის და
ძმებს აშტერდება თვალწინ.
ახლა სხვა ძმები ითვლიან,
უკეთ დათვლიდნენ ვითომ.
თავის თავს რომ არ ითვლიან,
მუდამ აკლდებათ თითო.
შეიქმნა ერთი ღრიალი,
— რა გვეშველება, რა ვქნათ,
ერთი, მეშვიდე ძამიკო,
თვალდახელშუა გაქრა!
— ნეტავ რომელი გვაკლია! —
გადაირიენ ძმები.
გამოსაცნობი ძნელია
და საფიქრალი ძნელი.
გზად მიდიოდა მოხუცი,
— რა გატირებთო, — ჰკითხა,
— შვიდთავეს თვალწინ გხედავთო! —
ძმებს არწმუნებდა დიდხანს.
ველარას გახდა, ურჩია:
— რახან ამაზე ტირით,
მოდით და აგერ თიხნარში
ყველამ წაარჭვეთ ცხვირი,
რამდენი ფოსოც მოთხაროთ,
ხომ დაინახავთ ნათლად,
ცხვირით ჩაღრუტნილ ადგილებს
მერე დაუწყეთ დათვლა.
— ოჰ, ეგ რა კარგი გვირჩიე, —
ძმები დათანხმდნენ ხელად.
ეცნენ და იქვე მიწაში
ცხვირით წაერჭო ყველა.
მერე ნაცხვირალ ორმოებს
უწყეს ბეჯითად დათვლა,
ტაში შემოჰკრეს ბიჭებმა:
—შვიდნი ვყოფილვართ მართლა!



ძლივს არ მოთავდა კეთილად
ძმებო, მეშვიდეს ძებნა?
რა დიდ საფიქრალს მოვრჩითო, —
ქუდი ჭერსა ჰკრეს ძმებმა.

ნახ. **დ. ხახუტაშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ვარსკვლავები



სმენადაძაბული უსმენენ პატარები მასწავლებელ მარიამ კოპალეიშვილს, რომელიც „უხილავი მეგობრების" წერილს კითხულობს.

გაკვეთილების დაწყებას ათი წუთი აკლდა. ორმწკრივად დაწყობილი პირველკლასელები საკლასო ოთახისაკენ მიიჩქაროდნენ. ოთახში შესვლისთანავე თვალში ეცათ ქაღალდი, რომელიც მასწავლებლის მაგიდაზე იდო. მორიგე პირდაპირ მისკენ გაიქცა. ის იყო, ქაღალდი უნდა გადაეგდო, რომ შეამჩნია, მაგიდაზე ლამაზი წიგნები ეწყო. დააკვირდა — ეს ქაღალდიც უბრალოს არ გავდა. იგი ფაქიზად იყო დაკეცილი და ზედ სუფთად და ლამაზად რაღაც ეწერა.

— წერილია!

— ნეტავი ვისია?

— ალბათ, მარო მასწავლებლისაა.

— იქნებ ჩვენია? — ალაპარაკდნენ ბავშვები. რამდენიმე მათგანმა სცადა კიდეც, წაეკითხა ის სამი სიტყვა, რომელიც ზემოდან ეწერა, მაგრამ ისინი ხომ ჯერ ყველა ასოს არ იცნობდნენ.

ამ დროს ზარის ხმაც გაისმა. ყველამ მერხებს მიაშურა და ფეხზე დამდგარი შეხვდა კლასში შემოსულ მასწავლებელს.

მარო მასწავლებლის გამოცდილ თვალს არ გამოეპარა კლასის შეშფოთება. გაკვირვებით გადახედა პატარებს.

— ხომ არაფერი მოხდა, ბავშვებო? — იკითხა მან.

შეკითხვებზე ყოველთვის ყველა ერთად პასუხობდა ხოლმე, ახლა კი სდუმდნენ, ერთმანეთს უყურებდნენ და იმ მოსწავლისკენ ანიშნებდნენ, რომელსაც წერილი ეჭირა ხელში. ბიჭუნამ გაბედა, გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და წერილი, წიგნებთან ერთად, მასწავლებელს გაუწოდა.

— აი, ეს, თქვენს მაგიდაზე ვიპოვეთ, არ ვიცით, ვისია!

მასწავლებელმა წერილი ჩამოართვა და ჩუმად გადაიკითხა. კითხვა რომ დაამთავრა, თავი ასწია, გაიღიმა და წყნარად თქვა:

— დასხედით, ბავშვებო! წერილს თქვენ გწერენ, მომისმინეთ და წაგიკითხავთ.

„ჩვენო პატარა მეგობრებო!

გაეცანით და შეხვედრისას გვიამბეთ ამ პატარა წიგნების შინაარსი.

თქვენი უხილავი მეგობრები".

უხილავი მეგობრები! ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ამ სიტყვებმა მოახდინეს ბავშვებზე. — ნეტავი ვინ არიან ისინი? თუ უხილავები არიან, როგორ შევხვდებიან, როგორ წავიკითხოთ ეს წიგნები? — ყველამ ერთად მიაყარა მასწავლებელს შეკითხვები.

— რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, — დაიწყო მასწავლებელმა, — სულერთია, ვერაფერს გავიგებთ. საჭიროა გავეცნოთ ამ წიგნების შინაარსს. ამისათვის კი სულაც არ არის აუცილებელი, იცოდეთ კითხვა. თუ წესიერად მოიქცევით, მე გაკვეთილების შემდეგ წაგიკითხავთ მათ და, რაც უფრო მალე დავამთავრებთ, მით უფრო მალე გავიგებთ, ვინ არიან ჩვენი უხილავი მეგობრები.

მასწავლებლის რჩევა მოეწონათ ბავშვებს.

— ახლა თქვენ უკვე ყველა წიგნის შინაარსს იცნობთ, — უთხრა მათ მარო მასწავლებელმა, როცა უკანასკნელი წიგნის კითხვა დაამთავრა, — შეგიძლიათ შეხვდეთ თქვენს უხილავ მეგობრებს.

— მაგრამ როგორ გავაგებინოთ მათ ამის შესახებ? — თქვა ქეთინომ. — ჩვენ ხომ არ ვიცით ვინ არიან ისინი?

— ეგ სწორია, — უპასუხა მასწავლებელმა, — მაგრამ დავიცადოთ ხვალამდე; ალბათ, ისინი თვალყურს გვადევნებენ და თვითონ გამოგვეცხადებიან ხვალ.

მეორე დღეს უჩვეულოდ ადრე მოვიდნენ სკოლაში, მაგრამ ნაცვლად უხილავი მეგობრებისა, ყოველ პირველკლასელს მერხზე ლამაზი ღია ბარათი დახვდა. წუთიც და, ყველას სათითაოდ ეჭირა ხელში ბარათი, ზოგს ყვავილი ეხატა, ზოგს ზღაპრის გმირი, ზოგს კი ქალაქის ხედი. ბავშვებმა წერილის ძებნა დაიწყეს. ეს რომ უხილავი მეგობრების მიერ იყო მოწყობილი, ამაში უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი. პატარებს ისევ მარო მასწავლებელი მიეშველა და მათი ყურადღება მიაპყრო დაფისაკენ, რომლის გაწმენდა არავის გახსენებია. დაფაზე კი აი რა ეწერა:

„ჩვენო პატარა მეგობრებო!

**პიონერი კარგი ამხანაგია, უმცროსებზე ზრუნავს...**

დააკვირდით, რას ასახავენ თქვენს მერხზე მდებარე ღია ბარათები. შეისწავლეთ და შეხვედრისას გვიამბეთ მათ შესახებ.

თქვენი უხილავი მეგობრები.“

პატარების წინაშე კვლავ ახალი ამოცანა დადგა, რომლის გადაწყვეტა აახლოვებდა უხილავ მეგობრებთან შეხვედრას. ღია ბარათები სახლებში წაიღეს და მშობლების დახმარებით მალე ყველაფერი იცოდნენ მათ შესახებ.

„ ჩემს ბარათზე დახატულია წითელქუდა და მგელი, ეს ზღაპარი შარლ პეროს ეკუთვნის“, „ჩემს ბარათზე შროშანა ხატია, იგი მაისში ყვავილობს, სამკურნალო მცენარეცაა, მის ნაყენს გულით დაავადების შემთხვევაში ხმარობენ“, — უამბობდნენ ერთმანეთს ბავშვები.

„რა კარგები არიან ჩვენი უხილავი მეგობრები, რამდენი ახალი რამ გვასწავლეს!“ — უხაროდათ ბავშვებს.

კეთილმა უხილავმა მეგობრებმა დიდხანს აღარ აცდევინეს პატარებს, უკანასკნელი წერილით შეხვედრის დღე და საათი შეატყობინეს: „გველოდეთ ხვალ, დღის 12 საათზე“. და ჰა, ეს დღეც დადგა. პატარები მოუთმენლად ელიან, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებიან, იხედებიან ფანჯრებიდან, კარიდან, ეზოში... — რა ვიცით, საიდან მოვლენ, ისინი ხომ უხილავები არიან? — ამბობდნენ ისინი. გაისმა პიონერული საყვირის ხმა. ყველანი ერთად მისცვივდნენ კარს და თვალწინ ასეთი სანახაობა გადაეშალათ: საზეიმო ფორმაში გამოწყობილი მეხუთეკლასელი პიონერები მოდიოდნენ პატარებისაკენ. ყველამ უკან დაიხია და გზა დაუთმო სტუმრებს. პიონერები შემოვიდნენ საკლასო ოთახში. რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა, ყველას დაეკავებინა ადგილი და, როდესაც ყველა დაწყნარდა, ასე მიმართა პატარებს:

— ბავშვებო! ჩვენ სწორედ ის უხილავი მეგობრები ვართ, ვისაც თქვენ ამდენი ხანია ელით. ახლა ჩვენი მეგობრობა უფრო მტკიცე გახდება. თქვენ ყველანი ოქტომბრელები ხართ, მაგრამ, ალბათ, ჯერ კარგად არ იცნობთ ამ ორგანიზაციას. ჩვენ გვინდა, ყველაფერი გიამბოთ მის შესახებ, შეგასწავლოთ ოქტომბრელთა წესები, სიმღერები; მანამდე კი, აბა, ვის შეუძლია გვიამბოს, როგორ შეასრულა ჩვენი დავალებები?

— მე... მე... — გაისმა ერთხმად. მერე პატარებმა რიგრიგობით უამბეს მათ წაკითხული წიგნებისა და ღია ბარათების შინაარსი. პიონერები დარწმუნდნენ, რომ პატარებს ნამდვილად კეთილსინდისიერად შეესრულებინათ ყველა დავალება.

— ყოჩაღ, ბავშვებო! — თქვენ ყველანი ძალიან კარგები ჩანხართ, — უთხრა მათ რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ, — ღირსი ხართ ატაროთ ოქტომბრელთა სახელი. ახლა ჩვენ ოქტომბრელთა სიმღერას გიმღერებთ, და წავალთ. ხვალ კი ისევ მოვალთ ამ დროს



მეოთხეკლასელი ლევან ალხაზაშვილი ოქტომბრელების ხშირი სტუმარია; მან უმცროს მეგობრებს მრავალი საინტერესო თამაში ასწავლა.

და თქვენს ჯგუფს დავყოფთ ვარსკვლავებად, რომლებსაც ჩვენ, პიონერები ვუხელმძღვანელებთ. ვარსკვლავებად დაყოფა და ხელმძღვანელის არჩევა თქვენი სურვილით მოხდება.

ასე დამთავრდა ის დღე. მეორე დღე კვლავ რაღაც საინტერესოს პირდებოდა ბავშვებს.

— ხელმძღვანელები თქვენ თვითონ უნდა აირჩიოთ, ხომ ასე გვითხრა? — მე, აი, იმას ავირჩევ ჩემს გვერდით რომ იჯდა.

— მე კი ის მინდა, ვინც ჩვენ გველაპარაკა, თემური. ის ყველა პიონერის უფროსია, — თქვა ვასიკომ.

მათი კამათი მეორე დღემ გადაწყვი-

ნეტა ვისი წერილია?! — გაოცებული არიან ლევან ქუთათელაძე, ქეთინო კელეპრიშვილი, მირანდა ბერიშვილი.



ტა, როდესაც მათთან კვლავ მოვიდნენ პიონერები. მათ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ ვარსკვლავებზე, მოსვლისთანავე ახალი თამაში შესთავაზეს პატარებს. თამაში ყველას მოეწონა და წუთით ვარსკვლავებიც დაავიწყდათ.

ამ თამაშს პიონერებმა უწოდეს: „იპოვე შენი ხელმძღვანელი“. მთელი კლასი დაყვეს სამ ჯგუფად, თითოეულში იყო 10 ბავშვი. თემურმა აუხსნა მათ: შეკარით სამი წრე ცალ-ცალკე, თითოეულ წრეში ჩადგება ერთი პიონერი. ჩემს ნიშანზე მაგრად დახუჭავთ თვალებს და გაახელთ მხოლოდ მაშინ, როცა მე გეტყვით, თქვენ დაინახავთ, რომ თქვენი ხელმძღვანელი წრეში აღარ იქნება. საჭიროა მოძებნოთ ის და კვლავ შემოარტყათ წრე. გაიმარჯვებს ის ჯგუფი, რომელიც ყველაზე ადრე გააკეთებს ამას. ყველამ გაიგო?

— დიახ! გავიგეთ! — იყვირეს პატარებმა.

— მაშ, დავიწყოთ! მანანა, ოთარ, ციალა, — მიმართა თემურმა პიონერებს, — დაიკავეთ თქვენი ადგილები. მაშ ასე, ყველა ჯგუფში არის ხელმძღვანელი... ერთი, ორი, სამი... ყველამ დახუჭეთ თვალები!

უცებ, თითქოს რაღაც გაახსენდაო, ცოტა ხანს შეჩერდა თემური, შემდეგ კვლავ მიმართა პატარებს: — აბა, ყველამ ჩემთან ერთად გაიმეორეთ ოქტომბრელთა ერთ-ერთი წესი — „ოქტომბრელები გულმართალი და პატიოსანი ბავშვები არიან“. — ერთად და მტკიცედ გაისმა 30 ოქტომბრელის ხმა. თემურს უკვე აღარ ეპარებოდა ეჭვი,, რომ არც ერთი მათგანი არ ეცდებოდა ჩუმად ეთვალთვალა პიონერებისათვის.

კარგა ხანს გაისმოდა ი. ჭავჭავაძის სახელობის 23-ე სკოლის ეზოში პატარების ჟრიამული. განსაკუთრებით კი იმათი, ვინც ყველაზე ადრე ახერხებდა თავის ხელმძღვანელის პოვნას.

როდესაც ბავშვებმა გული იჯერეს თამაშით, თემურმა უთხრა მათ: — ხომ არ გინდათ, დღევანდელი თამაშის ჯგუფებს ვუწოდეთ ვარსკვლავები და ყოველთვის ისევე ერთად ვიყოთ, როგორც დღეს?

გამოირკვა, რომ არავის არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო.

მერე პატარებმა ვარსკვლავის ხელმძღვანელთა საკითხიც გადაწყვიტეს. ყველა ჯგუფმა თავისი ვარსკვლავის ხელმძღვანელად ის პიონერი აირჩია, რომელსაც თამაშის პირობითაც ერქვა ეს სახელი.

ნ. ჯილაური

ფოტო დ. იაკობაშვილისა




# გელათის ლეგენდები

**გელათის დიდებული ტაძარი საქართველოს მეფე დავით აღმაშენებლის თაოსნობით აშენდა XI—XII საუკუნეებში. დავითი ხშირად მიდიოდა ხოლმე ტაძრის მშენებლობაზე, აინტერესებდა, როგორ აშენებდნენ.**

**გადმოცემის მიხედვით, პირველ ხანებში თვითონ მეფეც მონაწილეობდა თურმე ტაძრის მშენებლობაში.**

**ლეგენდა — „მეფე რძის აბაზანაში“ — დაცული აღმოჩნდა XV საუკუნის სამეფო სიგელში, რომელიც გაცემულია არჯევან ავშანდაძის სახელზე 1475 წელს, მეფე კონსტანტინე მესამის მიერ.**

**სიგელში წერია: „ოდეს დარუბანდით გამოვიდა ავშანდაძის გვარის კაცი, დიდად ნამსახური მეფისა, ოდეს აღმაშენებელი გელათს აშენებდა და გალავნიდაღმა გადმოვარდა, სამას და ხუთი აქიმი მოახხეს და ვერა უშველეს, მაშინ სხვა ერთი აქიმი მოვიდა ყველაზე ბოლოსა. მან ასრე თქვა: „თუ არ ირმის რძეშიგან დავაწვინოთ, არა უშველის რაო“. ქნეს მოკითხული, შეღონდეს. წამოდგა კაცი. ასრე თქვა: „ავშანდაძესა ჰყავსო თორმეტი ფური ირმის, მეწველიო“. სხვა ქვეყანასა ზედან არა იშოებოდა. მოიღო ავშანდაძემან, იპრიანა ღმერთმან, დარჩა აღმაშენებელი“.**

**თუ ამ ლეგენდამ სიგელში მცირე ნაწილად მოაღწია, სამაგიეროდ, ხალხმა იგი შედარებით უფრო ფართო სახით შემოგვინახა ზეპირსიტყვიერებაში. ფაქტია, რომ ეს ლეგენდა შორეული დროიდან მოდის.**

**ლეგენდა „დავით აღმაშენებლის რაში“ ჩაწერილია ჩვენი საუკუნის ოციან წლებში.**

## დავით აღმაშენებლის რაში

დავით აღმაშენებელმა, როცა სამეფო ტახტზე ავიდა, გელათისა, მცხეთისა და მარტვილის ტაძრების აშენება განიზრახა.

მეფემ ხუროთმოძღვრები მოიწვია და პირველად გელათის ტაძრის აშენება მიანდო.

ხუროთმოძღვრებმა ტაძრის გეგმა შეადგინეს. მუშებმა ქვები დათალეს და საძირკველიც ჩადგეს. სამწუხაროდ, როცა მეორე დღეს მივიდნენ მუშები, საძირკველი დანგრეული დახვდათ.

ოსტატები ხელმეორედ შეუდგნენ საძირკვლის ამოყვანას, ამოიყვანეს კიდეც, მაგრამ ღამით ვიღაცამ კვლავ დაანგრია. ბოლოს ეს ამბავი მეფეს აცნობეს. მეფემ ბრძანა ტაძრის საძირკველთან გუშაგები დაეყენებინათ.

ბრძანება აღსრულებული იქნა, მაგრამ საძირკველი ისევ დაანგრია ვიღაცამ. გუშაგებმა ვერაფერი გაიგეს.

მაშინ დავითმა სათათბიროდ უხუცესთა და ვეზირთა მოწვევა ბრძანა. ბევრი იმსჯელეს, მაგრამ ერთ აზრს ვერ დაადგნენ. ბოლოს, წამოდგა



ერთი უხუცესი და თათბირს მოახსენა: ვინც ტაძრის საძირკველს ანგრევს, ის უსათუოდ მავნე სული იქნება და მისი დაჭერა მხოლოდ ამნაირად შეიძლება: უნდა გავავსოთ ორი გობი, ერთი თაფლით, მეორე კი არაყით და დავდგათ საძირკველზე. როცა ის მავნე სული მოვა, სუნით თაფლს მოძებნის და ჭამას დაუწყებს. თაფლი ძლიერ მოაწყურებს წყალს და იქვე არაყს დაეწაფება, დათვრება. შორს ვეღარსად წავა და ხელში ჩაგვივარდება.

მოხუცის რჩევა მეფემ და თათბირმა ერთხმად მოიწონეს და იმავე საღამოს ორი გობი, თაფლითა და არყით, საძირკველზე ერთმანეთის შორიახლო დადგეს.

მეორე დილით, გუშაგები და ოსტატები მართლაც თავს წაადგნენ შავი ბალნით შემოსილ უცნაურ ცხოველს, რომელსაც საძირკვლის მახლობლად ჩასძინებოდა.

გუშაგებს უნდოდათ ცხოველი შუბებით გაეგმირათ, მაგრამ ოსტატებმა შეაჩერეს.

ამ დროს მეფეც მოვიდა. დაინახა რა ეს ვეებერთელა მხეცი, ბრძანა მოეტანათ ჯაჭვი და მძინარე ცხოველი დაებათ. თან ჯვარი გადასახა. მხეცი მაშინვე თვინიერ რაშად გადაიქცა.

მეფე ამის შემდეგ სულ ამ რაშით დადიოდა. ისეთი სწრაფი გამოდგა ეს რაში, მეფე დილით რომ მცხეთის ტაძრის საძირკველზე ერთ დიდ ქვას დადებდა და ისაუზმებდა, შუადღისას გელათს მივიდოდა, ერთ ქვას აქ დადებდა და იქიდან მარტვილისაკენ გაემართებოდა, შემდეგ კი ისევ მცხეთაში ბრუნდებოდა.

მეფემ დარუბანდის რკინის ალაყაფის კარებიც გელათის ტაძარში ამ რაშით ჩამოიტანა.

დიდხანს, მეტად დიდხანს ემსახურა დიდებულ მეფეს ეს ღვთისაგან მოვლენილი ცხოველი.

დავით მეფემ უკვე მიაღწია თავის საწადელს: საქართველოს მტრები დაამარცხა და მიფანტ-მოფანტა; საქართველო ციხე-სიმაგრეებითა და დიდებული ტაძრებით შემოსა, რითაც საქართველოში მშვიდობიანობა დაამყარა. ამასობაში მეფეს მოხუცებულობაც შემოეპარა.

ერთხელ მეფემ თბილისში ყოფნისას, სადაც, არაბებისა და თურქების დამარცხების შემდეგ, ქუთაისიდან სამეფო ტახტი გადაიტანა, გელათის ტაძრის ნახვა მოისურვა.

სამხრობის ჟამი იქნებოდა, როცა დავითი თავისი რაშით გელათში მივიდა. რაშიდან მკვირცხლად ჩამოხტა, აღვირი მეჯინიბეს გადასცა, თვითონ კი პირდაპირ ტაძარში შევიდა.

რაში მეჯინიბემ მდინარე წყალწითელასთან მიიყვანა და აღვირი წაჰყარა. რაში მდინარე[illegible] თვალის დახამხამებაში [illegible].

მეჯინიბე სახტად დარჩა, შეშინებული ტაძრის გალავანში მიიჭრა და მეფის ამალას უამბო ეს ამბავი. როდესაც მეფეს მოახსენეს, მან თქვა: ეს იმის ნიშანია, რომ მე დიდხანს ვეღარ ვიცოცხლებო. მართლაც, ამის შემდეგ დავით აღმაშენებელი მალე გარდაიცვალა. დაასაფლავეს მის მიერ აშენებული გელათის დიდებულ ტაძარში.

## მ ე ფ ე
## რძის აბაზანაში

ერთხელ მეფე დავით აღმაშენებელი გელათის ტაძრის მშენებლობის დასათვალიერებლად მივიდა. იგი იმ დროს ჭაბუკი იყო და ხარაჩოებზე მკვირცხლად ავიდა, უკანასკნელ ხარაჩოზე ასვლის დროს მეფეს ფეხი დაუცდა, ძირს ჩამოვარდა და უგონოდ შეიქმნა. მშენებლებმა მეფე ძლივს-ძლივობით მოაბრუნეს. იგი ძალიან დამტვრეული აღმოჩნდა, დაახვიეს მკურნალები და ჯარა-ექიმები, მაგრამ არა ეშველა რა.

ამ დროს, ბედზე, ერთი ვინმე მოხუცი კაცი მოვიდა და თქვა: მეფეს მხოლოდ ირმის რძეში ბანაობა მოარჩენსო.

ბევრი იფიქრეს, თუ სად შეიძლებოდა ირმის რძის შოვნა და ისიც იმ რაოდენობით, რომ აბაზანა მოეწყოთ. ბოლოს იქვე, იმერეთის ერთ მივარდნილ სოფელში, გლეხს, გვარად ავშანდაძეს, მიაგნეს. მას თორმეტი ფურ-ირემი ჰყავდა. ეს ფურ-ირმები ყოველდღიურად ერთ დიდ ქვაბ რძეს იწველიდნენ. გლეხმა ისინი მეფეს დაუთმო.

დავით მეფე ყოველ დილა-საღამოს ირმის რძის აბაზანაში ბანაობდა და მალე განიკურნა.

მეფემ არც ავშანდაძე დაივიწყა და არც მოხუცი ყარიბი. ავშანდაძეს სამეფო ტყის მცველის თანამდებობა ებოძა. მოხუცი კაცი კი, რომლის რჩევითაც მეფე განიკურნა, ბევრი ეძებეს, მაგრამ მის კვალს ვეღარსად მიაგნეს.

ვ. სიდამონიძე

ნახ. ლ. შენგელიასი

# საიუბილეო საჩუქარი



„დინამოს“ სტადიონს რომ გასცდებით, მხარმარჯვნივ, ბაღში ხარაჩოებს, აგურისა და ცემენტის გროვას დაინახავთ. გაფაციცებული შრომაა გაჩაღებული, ბავშვების ჟივილ-ხივილი იკლებს იქაურობას, ზოგი სილას ზელს, ზოგი მანქანას ცლის, ზოგსაც ხარაჩოებზე აგური თუ ფიცარი ააქვს. მივდივართ ბავშვების ერთ ჯგუფთან.

— რომელი სკოლიდანა ხართ? — ვეკითხებით.

— მეხუთე. — ოცდამეორე. —ოცდამეხუთე. — მეთხუთმეტე, — ერთმანეთს არ აცდიან პიონერები. მართლაც და, თბილისის რომელი სკოლის მოსწავლეს არ ნახავთ აქ. და ეს ენთუზიაზმი გასაკვირი როდია. შენდება თბილისის ნორჩ-ტეჩნიკოსთა სადგურის ახალი შენობა. ტექნიკოსთა სადგურის წევრები ათობით, ასობით მოდიან აქ ყოველდღე, რათა მხარში ამოუდგნენ მშენებლებს, თითო აგური მაინც დადონ ამ შესანიშნავი სამსართულიანი შენობის კედელზე.

პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავისათვის ეს შენობა უკვე მწყობრში იქნება ჩამდგარი, ფართოდ გაიღება 18 ნათელი აუდიტორიის, სადემონსტრაციო დარბაზის, სამკითხველოს კარები. ათასობით თბილისელი ბავშვი გამოსწევს აქეთ გაკვეთილების შემდეგ, რათა გაიღრმავოს თავის ტექნიკური ცოდნა, ჩაწვდეს სამამულო თუ უცხოური ტექნიკის ახალ მიღწევათა საიდუმლოს.





# დიდ ადამიანთა დევიზები

ბევრ სახელოვან ადამიანს ამორჩეული ჰქონდა ერთი დევიზი, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე იცავდა. ზოგი მას საკუთარ ბეჭედზე ამოტვიფრავდა ხოლმე, ზოგიც თავის თხზულებებს წაუმძღვარებდა.

გენიალურ კომპოზიტორს ფერენც ლისტს დევიზად ჰქონდა: „კარგად, ან სულ არა!“

ვ. ჰიუგოს ზოგიერთი ნაწარმოები დაგვირგვინებული იყო დევიზით: „კეთება და გადაკეთება!“

ფრანგი მწერლის ლამარტინის დევიზი იყო: „სანამ სუნთქავ — იმედი იქონიე!“

გენიალურმა ფრანგმა მსახიობმა ქალმა, რაშელმა თავის დევიზად აირჩია გამოთქმა: „ყველაფერი ან არაფერი!“

„ჩემი რელიგიაა — არავითარი რელიგია!“ — იუწყებოდა გერმანელი ფილოსოფოსის ლუდვიგ ფეირბახის დევიზი.

სახელგანთქმულ მსახიობ ქალს სარა ბერნარს დევიზად ჰქონდა: „რადაც არ უნდა დაჯდეს!“.

ფრანგი რომანისტის შარლ ნოდიეს ბეჭედზე ამოტვიფრული ჰქონდა დუმილის გენიის ფიგურა, ბაგეზე მიდებული თითით. ფიგურის ქვეშ ეწერა შორისდებული: „ჩუ!“

ძველი საბერძნეთის გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს სოლონს, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე ექვსი საუკუნის წინ ცხოვრობდა, დევიზად ჰქონდა: „არაფერი ზომაზე მეტი!“

სუვოროვების გვაროვნული დევიზი იყო: „ვალდებული ვარ — მაშასადამე, შემიძლია!“



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბრაკონიერები

ჩვენში მრავლადაა შექმნილი ბუნების დამცველი ნებაყოფლობითი საზოგადოებები. უფროსებს არც ნორჩები ჩამორჩებიან ამ საქმეში. გავიხსენოთ თუნდაც „ტყის ნორჩი მეგობრის" საზოგადოება, მრავალრიცხოვანი მწვანე საგუშაგოები. ჩვენი ნორჩი ნატურალისტები არა მარტო სწავლობენ მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, არამედ პრაქტიკულ მუშაობასაც აწარმოებენ ბუნების დაცვის საქმეში: უვლიან ტყეებს, რგავენ ახალ ნარგავებს, შეფობენ ნაკრძალებს, ბუნების სადარაჯოზე დგანან.

მდიდარია საქართველოს ბუნება. მაგრამ ბევრი ცხოველი ჩვენს მთებსა და ტყეებში გადაშენების გზაზე დგას. თქვენ, ალბათ, იცით, რომ მთავრობის დადგენილებით, საქართველოში აკრძალულია ნადირობა ბუნების ისეთ იშვიათ ქმნილებებზე, როგორიცაა: შველი და ირემი, ჯიხვი და არჩვი, ხოხობი და კაკაბი და სხვ.

საზოგადოებას შეგნებული აქვს ბუნების დაცვის აუცილებლობა, მაგრამ არსებობენ ბუნების დაუძინებელი მტრები, უსულგულო და უგუნური ადამიანები — ბრაკონიერები. ისინი არ დაგიდევენ საქვეყნო ინტერესებს, ბუნებას პირველყოფილი ადამიანის თვალებით უყურებენ, გამორჩენასა და პირად სარგებელს ეძებენ მასში და ანადგურებენ.

ზ. ლორთქიფანიძის პოემაში, რომელსაც ქვემოდ ვბეჭდავთ, აღწერილია ბრაკონიერების დანაშაულებრივი მოქმედება.

პოემაში ნაჩვენებია, რომ პიონერებსაც, ძალგიძთ თქვენი წვლილი შეიტანოთ მშობლიური ბუნების დაცვის კეთილშობილურ საქმეში.

ზურაბ ლორთქიფანიძე

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

## მიდიან

საღამოს ერთ დიდ ეზოში
უზომო სამზადისია;
ეთხოვებიან მეზობლებს,
ეთხოვებიან თვისიანს.
ხელისგულებზე იყრიან
სახობბე საფანტს კრიალას,
ვაზნებს იწყობენ ჩანთებში
და ამოწმებენ იარაღს.
წარმოიდგენენ ოცნებით
ნაბუღზე შემდგარ პოინტერს
და აფრენილი ხოხობი
ცაში ფრთას როგორ მოიმტვრევს.
სასროლ ბადეებს ახვევენ,
მზეზე გაკიდულს დილიდან,
იტვირთებიან ყელამდი
ქლორით და დინამიტითა.
მისიანები უკრავენ
მათ გამგზავრებას მარტო ტაშს,
თეთრად მთრთოლვარე ტიკჭორას,
პოინტრებსა და პატრონტაშს.
შუაღამისას მიჰქრიან
ხშირ მუხროვანში თბილისით,
მიჰქრიან გაბადრულები:
„ზიმით",
„ვოლგით" და
„ვილისით".

## კლდის ძირთან

კლდიდან გადმოჩქეფს ჩანჩქერი,
შხეფი მზის სხივში ირევა,
ჩოფურამ ბატონკაცურად
აქ ჩამოხდომა ინება.
სუფრა ინება და უცებ
იქვე გაშალეს ჩანჩქერთან;
თამადა თვალდაწეული
სავსე ჯიხვის რქას, [illegible]
ბრძანა: „ვუყელოთ, ბიჭებო,
მოვსვათ, რაც შეგვხვდეს,
სრულებით!"
თქვა და დახლიჩეს დედლები
ცივცივად მოხარშულები.
საღამოს თავშესაყრელად
ადგილი დათქვეს წყაროსთან.
ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ და
შემთვრალებს მიუხაროდათ.

## ბიჭების ანკესები

ერთ ჯგუფს ვეება ბადიანს,
ქლორიანს, დინამიტიანს,
შექანჯალება ეტყობა
ნაღვინევს, თვალებბინდიანს.
მაინც მიდიან, წყლისპირას
ლანდები კრთიან ცაცხვების
და ვაჟბატონებს მოუდით
სურვილი ჩრდილში განცხრომის.
მოვიდნენ, გადაიშხლართნენ
ხის უსპეტაკეს ჩრდილებში,
მაშინ თევზებმა სიამით
ამოისუნთქეს ჯილეში.
მათ ზემოთ, ტიტლიკანები
წყალში ისვრიან ანკესებს,
ბიჭებში ერთი მეტს იჭერს,
ხალისით თვალებს აკვესებს.
ქიის კოლოფით ელგუჯა
შეშფოთებული ამორბის,
ბიჭებს რაღაცას ანიშნებს
და უცებ ყველას წამოშლის:



ეროვნული ბიბლიოთეკა

სძინავთო! — ფრთხილად
მიადგნენ
ბრაკონიერთა სავანეს.
წამოფერდებულ ხის ღრუში
ქლორი სასწრაფოდ ჩამალეს...
შორიდან უთვალთვალებენ,
როგორ დაუგეს მახენი,
მშრალზე დატოვეს ბიჭებმა
მზაკვრულად მოკალმახენი.



### ორნი

ბილიკს მიჰყვება ვაჟკაცი
მონადირული იერით,
ტანზე ედება ბუძგები,
გზად ჯაგია და ეკალი.

ბრაკონიერი არა ჩანს,
მის წინ ბუნება ლალია;
თავი დაღუნა ბაქარმა,
ტოტებიც არ შეარხია,
ტოტებიც არ შეაწუხა.
მოშიშვლებულზე გავიდა,
მისკენ მომავალს გახედა
უცებ, ნაწყენი სახითა:
პატრონტაშიან წელზედა
თასმით დაკიდულ გნოლითა
და დაფეთებულ ძაღლითა
იგი ამაყად მოვიდა;
წინ წარმოუდგა ის ბაქარს
გულზე გაფურჩქვნილ იითა,
და ხელცარიელს დახედა
საოცარ ირონიითა...
„— შენ მონადირეს რა გიგავს,
სად შემეყარე თარსადა,
გნოლს ვინ, რომელი ვაჟკაცი
მოკლავდა რისმე ფასადა —
იქნება საქართველოში
მეტიც არ დაფრენს არსადა.
შენ მონადირე რომ იყო,
გნოლს, აბა, როგორ მოკლავდი,
მთლად ნამუსჩამორეცხილო,
მოდი აქ, ჩემთან მოქეავდი!"

ძაღლებიც შემოჰყურებენ
ბრაკონიერთა წამხედურს
და განრისხებულ თვალებით
გამოხატავენ საყვედურს.

### კენჭს ესვრის ბიჭი

მაყვლის ჩახლართულ ბარდებში
ძაღლებს უხმობენ მოყმენი,
ჩამოუფრინდათ უეცრად
ცხვირწინ შვინდფერი ხოხბები.
მონადირეებს იღბალზე
აუბრჭყვიალდათ თვალები.
წყვილი ხოხობი გადარჩა,
ოცნებას მინადარები.
და ერთმა მონადირეთგან
მუხლზე დაიკრა ხელები,
დააბრიალა თვალები
ბრაზისგან განახელები.
აფსუსი არის, შენ, მართლაც
ხოხბის მშვენებას ხედავდე
და კიდევ თოფმოღერილი
უკან დასდევდე დღედაღლე!...
კვლავ მისდევ დაოთხებული,
ხოხობი ტყისპირ იელვებს,
მაგრამ ვიღაცა ბიჭუნა
ჰკრავს ასწავლის ფრინველებს.
კენჭს ესვრის ხშირ-ხშირ,
ფარულად,
სათოფედ აღარ გაკარებს.
მახლობელ ტყესთან ხლართებში
ტყის ქათამი თუ კაკაბებს.
მახლობელ ბუჩქთან გნოლები
დაკავკავებენ მგონია,
ორპირიანმა იჭექა
და ბუჩქზე-თეთრი ბოლი...

### ისევ კლდის ძირთან

მოფარებულში ხმა ისმის
ცეცხლის საამო ტკაცანის,
სულ სხვა ფერია მუხისა
ნაკვერცხალიც და ნაცარიც.
ქუშტისოდენა ნაკვერცხლებს
შეუფუცხებენ შვლის წვადებს.
დარდიმანდებმა მთვარეში
კისრები წამოიწვადეს.
კატაფშატებზე ირხევა
ტყვიებიანი ბადენი
და შუა ცეცხლში ირუჯვის
მათი პირშავი ლანდები.
შესციცინებენ თამადას
მელურად მოპირფერენი,
თამადის თვალწინ იშლება
ნაირნაირი ფერები.
თუ გაიცინა თამადამ,
ცად ყორნის ფრთების სავსავით,
სიცილი სუფრის თავამდე
გადადის ბეგარასავით.
ავსებულ ჯამში ვარსკვლავი
თითქო ზეციდან ჩაფრინდა...
ხმაურობს სუფრა პანტის ქვეშ
ხონჩებითა და ჯამითა.

### [illegible]

ახმიანდება იმათგან
მალე ქუჩები თბილისის,
მოსრიალებენ ასფალტზე
„ზიმით",
„ვოლგით" და
„ვილისით".

მოსდევენ მწვანე ხევები
სიბრაზით შენაფითრები,
მოსდევენ მთები, ყანები,
ყვავილიანი მინდვრები:
მოჰყეფენ ციებ-ცხელებით
გაჯავრებული ტალღები
და მოყივნე ლანდები
მუშტშემართული ბალღები.



# პიონერული ორწლედის ქრონიკა

## სასიხარულო ცნობები სოხუმიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ახლოვდება** პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავი. ამ თარიღის მოახლოებამ კიდევ უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახადა სოხუმის ნორჩ ლენინელთა საქმიანობა.

პიონერულ ორწლედში სოხუმელმა მოსწავლეებმა უკვე შეაგროვეს 150 ტონაზე მეტი ლითონის ჯართი, 60 ტონამდე მაკულატურა, 9 000 ცალი ბოთლი; ხოლო 1 000 ცალი წიგნი საჩუქრად გადასცეს კურორტ ბიჭვინთის მშენებლებს.

ქალაქის ნორჩმა ნატურალისტებმა გამოზარდეს 570 კურდღლის ბაჭია, 300 მტრედი, 200 ფრთა ფრინველი; ნორჩმა მეაბრეშუმეებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 200 კილოგრამი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი. 20 პიონერული რაზმი „შვიდწლედის თანამგზავრის" საპატიო სახელს ატარებს.

**პიონერული** ორწლედის სტარტის დღეს, 1960 წლის 2 ოქტომბერს ჩვენმა რაზმეულმა მიიღო ორწლედის სამუშაო გეგმა, რომელსაც წარმატებით ვახორციელებთ, — გვწერენ რუსთაველის სახელობის სოხუმის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლეები.

სახელდობრ: რუსთავის კაპროლაქტამის ქარხნის მშენებლობისათვის შეაგროვეს 10 ტონა ლითონის ჯართი და 2 000 კილოგრამი მაკულატურა. ამ საქმეში განსაკუთრებით თავი ისახელეს №3 და №8 რაზმის პიონერებმა ზ. ჯიქიამ და მ. თაბუკაშვილმა. თითოეულმა მათგანმა ტონანახევარი ჯართი და 400 კილოგრამი მაკულატურა მიზიდა სკოლის ეზოში.

საკუთარი სკოლის ტერიტორიაზე დარგეს 80 ძირი ხეხილი, გააშენეს ყვავილნარი და მარადმწვანე ნარგავებით დაამშვენეს ენგელსის ქუჩის სანაპიროები.

უვლიან სკოლის საცდელ ნაკვეთზე გაშენებული მანდარინის პლანტაციას. ორწლედის განმავლობაში ნორჩმა მეციტრუსეებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 40 ტონა ხარისხოვანი მანდარინი. პიონერულ ნაკვეთზე ბეჯითად მუშაობენ მოწინავე მოსწავლეები თ. ჯანჯღავა, მ. დვალი და სხვ.

* * *

**გასული** წლის ნოემბერში ჩვენმა რაზმმა „შვიდწლედის თანამგზავრის" სახელი მოიპოვა, — გვატყობინებს სოხუმის მე-17 საშუალო სკოლის IV კლასის მე-17 რაზმის საბჭოს თავმჯდომარე იოსებ ხოშტარია და მოგვითხრობს, თუ რა გააკეთა რაზმმა ამ საპატიო სახელწოდების მოსაპოვებლად.

უპირველესი, რაც აუცილებელი იყო ორბიტაზე გასასვლელად და კოსმოსური ხომალდის წარმატებით მართვისათვის, ეს ასპროცენტიანი აკადემიური მოსწრება გახლდათ. ყმაწვილები დაუზარებლად ეხმარებოდნენ ჩამორჩენილ ამხანაგებს, რის შედეგადაც ამჟამად რაზმის ყველა პიონერი ასწრებს. არც სისუფთავესა და სანიმუშო ყოფაქცევაში ჰყავთ ბადალი. საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობისათვის კი არაერთგზის დაუმსახურებიათ უფროსების მადლობა. მოწინავეთა შორის გამოირჩევიან: ვაჟა მისაბიშვილი, ლამარა ვახანია, ვაჟა მურადაშვილი, ვლადიმერ და ეთერ კუჭუხიძეები. რაზმმა წლევანდელ სასწავლო წელს 3 ტონა ჯართი, 200 კილოგრამი მაკულატურა და 500 ცალი ბოთლი შეაგროვა, დარგო და გაახარა 19 ძირი ხე.

* * *

**არც** სოხუმის მე-14 საშუალო სკოლის მე-6-ა კლასის პიონერებს მოუპოვებიათ „შვიდწლედის თანამგზავრის" სახელი დაუმსახურებლად. გარდა იმისა, რომ მთელი კლასი წარმატებით გადავიდა შემდეგ კლასში, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სკოლის მიერ ჩატარებულ ყველა ღონისძიებაში. ყოველ კვირა დღეს იკრიბებიან და ალაგებენ თავიანთ საკლასო ოთახს, წმენდენ იატაკს. ჩამოაყალიბეს ლენინის კუთხე და გააკეთეს ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ალბომები. რაზმის პიონერთა უმრავლესობა ჟ. წ. „მესაზღვრეთა ახალგაზრდა მეგობრის" წევრია.

პიონერები გვიპატაკებენ მიღწეულ წარმატებებზე — შეაგროვეს ათასი კილოგრამი ჯართი და 300 კილოგრამი მაკულატურა, მოუარეს სკოლის ნაკვეთს, გაამწვანეს მახლობელი ქუჩები — და გვპირდებიან ახალი, უფრო დიდი წარმატებებით შეხვდნენ პიონერული ორგანიზაციის საიუბილეო თარიღს.

ქ. დეისაძე





**სოხუმის I საშ. სკოლის ოქტომბრელებიც ემზადებიან საიუბილეო შეკრებისათვის**

**ამავე სკოლის V კლასის პიონერები სასწავლო ნაკვეთზე მუშაობის დროს.**




## პრაქტიკული რჩევები

შუშის ჭურჭელს რომ სიპრიალე მიეცეს, მისი გარეცხვისას წყალს 1—2 სუფრის კოვზი ძმარი და 1 სუფრის კოვზი მარილი შეურიე.

ფაიფურის, შუშის, მომინანქრებული ჭურჭლის ან საყავეს გასარეცხად სოდიანი წყალი იხმარე (1 ლიტრ წყალზე 25 გრ. სოდა), შემდეგ სუფთა წყალში გაავლე. ფაიფური ძალიან ცხელ წყალში არ გარეცხო, რადგან ადვილად იბზარება და სიპრიალესაც კარგავს.

ჩაიდნის, ან ქვაბის ძირში მუქი ფერის ლექის გაჩენისას ჭურჭელში საჭმლის, ან სარეცხის სოდიანი წყალი წამოადუღე. უკეთეს შედეგს მიიღებ თუ ჭურჭელში სუფთა კარტოფილის ნათალს გამოხარშავ.

თუ ქვაბმა საჭმელი მიიწვა, მოსალბობად შიგ მარილნაჯერი წყალი ჩაასხი, მეორე დღეს წამოადუღე, შემდეგ ჭურჭლის ძირი ნაჭრით გამოწმინდე. ხოლო თუ ქვაბმა რძე მიიწვა, მისი ძირი მონადუღარი ყავის ნარჩენით გამოასუფთავე.

ხორცის საკეპი მანქანა ხმარებისთანავე დაშალე, სოდიან წყალში გარეცხე, ხრახნილა ბადის ხვრელებში ჩარჩენილი პროდუქტების ნამცეცები ასანთის ღერით გამოწმინდე, ამის შემდეგ მდუღარე წყალი გადაავლე და დაშლილი სახით მყუდრო ადგილას დაალაგე გასაშრობად. ხმარების წინ მანქანა უსათუოდ დამდუღრე.

პატარა ნამცხვრებისათვის თუნუქისაგან დამზადებული ფორმები ჯერ გარეცხე, მერე საჭმლის სოდიან წყალში წამოადუღე და წყალში გავლების შემდეგ გაამშრალე.

დაუჟანგავი ლითონისაგან დამზადებულ დანა-ჩანგალს ნუ გახეხავ, ჯერ ცხელ წყალში გარეცხე და მერე სუფთა წყალში გაავლე.

ვერცხლის ან ნიკელის ჭურჭელი ჯერ თბილი წყლითა და საპნით გარეცხე ისე, რომ ჭუჭყი მოცილდეს, შემდეგ დაფხვნილი ცარცი ან კბილის ფხვნილი არაყში ან ნიშადურის სპირტში გახსენი, მიღებული ფაფისებური მასა ჭურჭელს წაუსვი, როცა შეშრება, მშრალი ნაჭრით გაწმინდე. დასასრულს მშრალი კბილის ფხვნილითა და ნაჭრით გააპრიალე.

თუ ვერცხლის ჭურჭელმა ბრჭყვიალება დაკარგა, კარტოფილის ნახარში გადაასხი ზევიდან, 10—15 წუთის შემდეგ სუფთა ჩვრით გააპრიალე.

ალუმინის ჭურჭელი ძმარში დასველებული ქვიშით გაწმინდე, გარედან კი მშრალი კბილის ფხვნილით გააპრიალე.

სპილენძის სანაყი ძმარში და[illegible]ლებული ნაცრით, ან „[illegible]" გაწმინდე, გარეცხე და დაჭმუჭნილი ქაღალდით გამოამშრალე.

თუჯის ჭურჭელი სარეცხის სოდით, აგურის ფხვნილით ან ნაცრით გაწმინდე.

ცხიმიანი ტაფა ან შავი თუნუქისაგან დამზადებული ჭურჭელი ჯერ ხორხოშა მარილით და ქაღალდით მოასუფთავე, შემდეგ ცხელი წყლით მორეცხე.

კვერცხიანი ცომის მოსაზელად გამოყენებული ჭურჭელი ჯერ საპნით ცივ წყალში გარეცხე, მერე ცხელ წყალში გაავლე. ეს იმიტომ, რომ ჭურჭელს კვერცხის სუნი არ აჰყვეს.

ასევე ხის ფილი (ქვიჯა) ან პროდუქტების საჭრელი ფიცარი ხმარების შემდეგ ჯერ დამდუღრე, მერე საჭმლის ან სარეცხის სოდით გაწმინდე, წმინდა ქვიშით მოხეხე, ბოლოს ცივი წყლით მორეცხე და ისე გააშრე. მხოლოდ ამდაგვარად თუ შეძლებ, მოაშორო მათ ნივრის, თევზის, ხახვის, ან მწვანილეულობის მძაფრი სუნი.

ც. ელიგულაშვილი,
ლ. პაიჭაძე.

ნახ. ედ. ამბოკაძისა.






### მშვიდობის მტრედი

ამ გამოთქმამ ფართო გავრცელება ჰპოვა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოღვაწეობასთან დაკავშირებით. პირველი კონგრესი ჩატარდა 1949 წლის 20-25 აპრილს, პარიზსა და პრაღაში პარალელურად. თანამედროვეობის გამოჩენილმა ფრანგმა მხატვარმა პაბლო პიკასომ მშვიდობის საერთაშორისო ემბლემისათვის დახატა მტრედი, რომელსაც ნისკარტით ზეთისხილის პატარა რტო უკავია. მტრედი, ჯერ კიდევ უძველეს ხანაში, ნაყოფიერებისა და მშვიდობის ემბლემად ითვლებოდა. ბიბლიის მიხედვით, სტიქიონის დამშვიდების მაუწყებლად, ნოეს სწორედ მტრედმა მოუტანა ზეთისხილის ტოტი.

### კლოუნი

სიტყვა „კლოუნი" ჩვენში ინგლისური ენიდან შემოვიდა, ასე ეძახდნენ ტაკიმასხარებს ძველ ინგლისურ კომედიებში.

გლეხები, როგორც წესი, ყველა ქვეყანაში იჩაგრებოდნენ და, რა თქმა უნდა, ისინი თითქმის სრულიად გაუნათლებელნი იყვნენ, ამიტომ ქალაქელები მათ დასცინოდნენ, მასხრად იგდებდნენ.

გლეხისადმი ასეთი დამოკიდებულების კვალია დარჩენილი სიტყვაში: „კლოუნი". ლათინურად „კლოუნი" — სოფლის მცხოვრებს ნიშნავს.



# შავი ყვავილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ბელიაშვილი

ნახ. გ. ფოცხიშვილისა

ზ ღ ა პ ა რ ი

ერთ მიუვალ კლდეში, უზარმაზარი გამოქვაბულის შესასვლელთან შავი ყვავილი იზრდებოდა. სამ წელიწადში ერთხელ გაიფურჩქნებოდა, მაგრამ განუწყვეტლივ ირხეოდა და ისეთ მყრალ სუნს უშვებდა, რომ ქვეყანა იწამლებოდა. გარშემო სიკვდილი მეფობდა. არავის არ შეეძლო ამ სუნის ატანა. ადამიანი, ნადირი თუ ფრინველი ერთნაირად იღუპებოდა. შავი ყვავილის შხამიანი ამონასუნთქისაგან თვითონ მცენარეებიც ჭკნებოდნენ, ამიტომ აყვავებული ველები და მობიბინე ტყეები თანდათან ხრიოკ უდაბნოებად იქცეოდა. ბრძენი ამბობდა: როდესაც ეს ყვავილი ათასი წლისა გახდება, ქვეყანა ერთიანად მოიშხამება და სიცოცხლე მოისპობაო.

იმ ქვეყანაში ერთი ჭაბუკი ცხოვრობდა. ღონე და მოხერხება კი ჰქონდა, მაგრამ არ იცოდა, რისთვის გამოეყენებინა და ამიტომ დროს უქმად ატარებდა. ერთხელ სასახლეში მივიდა, პირდაპირ მეფის ასულს გამოეცხადა და ჰკითხა: ცოლად ხომ არ გამომყვებიო?

— ცოლად როგორ გამოგყვები, შე უქნარავ?! — იწყინა მეფის ასულმა. — ზარმაცები სიკვდილივით მეჯავრება.

— ეს ქვეყანა მაინც სიკვდილისაა და გამომყევი, — არ იშლიდა ჭაბუკი.

— ცოლად მხოლოდ მას გავყვები, ვინც საჩუქრად შავ ყვავილს მომიტანს, — უპასუხა მეფის ასულმა, რომ თავიდან მოეშორებინა.

ჩაფიქრდა ჭაბუკი. ასეთი ამბავი უწინ აზრადაც არ მოსვლია. ხელმწიფის ქალის რჩევა ჭკუაში დაუჯდა, გონიერი ქალი ყოფილაო. მაშ რისთვის უნდოდა ძალა და მოხერხება, თუ ხალხს არაფერში გამოადგებოდა და თანაც ასეთ საცოლეს სურვილს ვერ შეუსრულებდა!

ამ ფიქრებით მოცული შინ რომ ბრუნდებოდა, გზაზე ერთი დედაბერი შეხვდა და ჰკითხა:

— რაზე ჩაფიქრებულხარ, ჭაბუკო?

— შავი ყვავილის მოსაწყვეტად უნდა წავიდე და გეგმებს ვაწყობ, — უპასუხა ჭაბუკმა.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს! — ამოიოხრა დედაბერმა, — მაგრამ ვინც მაგ ყვავილს მიუახლოვდება, მაშინვე იწამლება, ჭკნება და კვდება. შენ ისეთი სახიერი ხარ, რომ დასაჭკნობად მებრალები. შემოდი ჩემს ქოხში, ისეთ ნელსაცხებელს მოგცემ, შავი ყვავილი ვერაფერს გავნებს.

— ასეთი სიკეთისათვის, თუ ოდესმე მეფე გავხდი, მზარეულთუხუცესად დაგნიშნავ, — ხუმრობით უთხრა ჭაბუკმა,— მეფე კი უთუოდ გავხდები, — დასძინა ცოტა ხნის შემდეგ, დედაბერს მადლობა გადაუხადა და ნელსაცხებელი წაიღო.

გზაზე ბრმა მომღერალი შეხვდა. გუდა-სტვირს აკვნესებდა და ტკბილად მღეროდა ერთ ძველ სიმღერას:

ბნელსა სძლევს ნათელი,
რომ ტანჯვა აგვშორდეს,
და მხეცის ნათელი
ბალახი გასწორდეს.

— მოხუცო, სიმღერა კარგი გცოდნია, მაგრამ გული მიკვდება, უსინათლოს რომ გიყურებ, — უთხრა ჭაბუკმა.

— ხალხის დაცემას რომ ვუყურო, იმას ისევ სიბრმავე მირჩევნია, შვილო, — მიუგო მოხუცმა, — მაგრამ შავი ყვავილი რომ ვინმემ მოწყვიტოს, თვალები ამეხილება.

— მე მოვწყვეტ შავ ყვავილს, ბერიკაცო! — თქვა ჭაბუკმა.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, შვილო! — ოხვრით წარმოთქვა მოხუცებულმა. — მაგრამ ვინც მაგ შხამიან ყვავილს მოწყვეტს, გველეშაპს ვერ გადაურჩება. თუ შენ მართლა ხალხის გმირი ხარ და არა უბრალო მკვეხარა, წაიღე ეს წითელი ნაჭერი, ხალხის დროშის ნაწილია. ვისაც ეს გულთან ექნება, ადვილად არ დამარცხდება, რადგანაც მამა-პაპის წმიდა სისხლით არის შეღებილი. გამოქვაბულიდან რომ გველეშაპი გამოვარდება, უჩვენე და აზრი დაეფანტება. დანარჩენი შენ იცი.

ჭაბუკმა მადლობა გადაუხადა ბრმა მომღერალს და წავიდა.

მოულოდნელად ერთი ფეიქარი შეხვდა და უთხრა:

— ჭაბუკო, გავიგე, შავი ყვავილის მოსაწყვეტად მიდიხარ. მეც წამოვედი, რომ ხელი გაგიმართო. აი, წაიღე ეს რიდე, ხალხის ცრემლითაა გაჟღენთილი. ათი წელია ხალხში დავდივარ და შეწუხებულ ადამიანთა, სნეულთა და მომაკვდავთა ცრემლით ვალბობ. ვიდრე კლდეზე ახვიდოდე, ეს რიდე ძირს გადაჰფინე. ყოველი ცრემლი მახვილად იქცევა.

ჭაბუკმა ფეიქარსაც გადაუხადა მადლობა და გზა განაგრძო, თან ფიქრობდა: „რა კეთილი ყოფილან ადამიანები! როგორ გაწამებულა ხალხი და მე კი დღემდე არ ვიცოდიო!"

შინ რომ მივიდა, კარგად დაისვენა, გამოიძინა, მოტირალ დედ-მამას გამოემშვიდობა და წავიდა. თან წაიღო იმდენი თოკი, რომ იალბუზიდან ყაზბეგამდე გასწვდებოდა.

ამ თოკებით ჭაბუკი მთის მწვერვალიდან ჩაცოცდა სამინელ გამოქვაბულში და შავ ყვავილს მიუახლოვდა.

შავი ყვავილი მაშინ სწორედ ახლად აყვავებული იყო. სილამაზით თვალს იტაცებდა, სიდიდით ქოლგის ოდენა იქნებოდა და ისეთი შავი იყო, რომ მას-

თან ყორანიც თეთრი გეჩვენებოდათ. ერთი სიტყვით, მზეს აბნელებდა. ამ სიბნელიდან თეთრი ორთქლი ნისლივით ამოდიოდა და მიდამოს შხამიან ღრუბლებად ეფინებოდა. ყველგან დახოცილ ადამიანთა, ცხოველთა და ფრინველთა ჩონჩხები ეყარა. არავინ იყო, რომ გვამები გაეტანა.

ჭაბუკმა ნელსაცხებელი წაისვა, გაბედულად მივიდა ყვავილთან, დაჰკრა მახვილი და ღერო შუაზე გადაჭრა. მაგრამ მერე რა? თვითონ ყვავილის მოწყვეტა ადვილი იყო, ამას მახვილის გარეშეც მოახერხებდა კაცი, სიძნელე ამის შემდეგ იწყებოდა.

უეცრად მთამ დაიქუხა, კლდემ დაიჭექა, ქარმა დაიწივლა, გამოქვაბული ორად გაიყო და ცეცხლის ალივით გამოვარდა უზარმაზარი გველეშაპი. ცხრაათას ოთხმოცდაცხრამეტი წელი ეძინა ამ გველეშაპს კლდის გულში. მისი შხამიანი ამონასუნთქი შავი ყვავილის გვირგვინიდან ამოდიოდა და ქვეყანას წამლავდა. ათასი წლის თავზე უწმინდური ერთს ამოიხვნეშებდა, მთელ ქვეყანაზე სიცოცხლეს მოსპობდა და დედამიწას თვითონ დაეუფლებოდა. ასეთი იყო შხამიანი გველეშაპის გეგმა.

და აი, ვიღაც ჭაბუკმა, უბრალო გლეხკაცის შვილმა, ურჩხულს ათასწლოვანი ძილი დაუფრთხო! გველეშაპს სუნთქვა შეეკრა, კლდე გააპო და პირდაღებული გარეთ გამოვარდა. ხ ა ხ იდან ცეცხლს ა ფ რ ქ ვევდა, თვალებიდან — ელვას, ცხვირის ნესტოებიდან— ღრუბლებს, კბილებიდან კი — შხამის შადრევანს.

ჭაბუკმა კლდეს ლოდი მოგლიჯა და გველეშაპს ღია ხახაში შეუგდო. იმავე წამს დროშის ნაწილი უჩვენა. ჭკუაარეული გველეშაპი (დიდი ჭკუით არც ადრე განირჩეოდა) დაიბნა, დაიგრიხა, შხუილით გამოქვაბულის კიდეს მოაწყდა და უფსკრულში გადაეშვა. უფსკრულის ძირამდე დიდი მანძილი იყო: ფსკერზე რომ ათასსართულიანი კოშკი აგეგოთ, მის თავზე კიდევ ნახევარი სართულის მიმატება დაგჭირდებოდათ, რომ ამ კოშკის სახურავზე მდგომი კაცი შავ ყვავილს ხელით შესწვდომოდა. ამის მიუხედავად, გველეშაპი იქნება გადარჩენილიყო კიდევ, მაგრამ ჭაბუკს არ დავიწყებია— ძირს ხალხის ცრემლით გაჟღენთილი ქსოვილის გაშლა. კარგი რჩევის გამოყენება მუდამ სასარგებლოა. ამ ქსოვილზე ათასობით წვეტიანი მახვილი ხიშტებივით იყო აღმართული, და გველეშაპის საზიზღარი სხეული ამ მახვილებზე დაეგო; დღესაც იგრიხება, მაგრამ თავს ვერ აღწევს.

ჭაბუკი მშვიდად შეუდგა იმავე თოკზე ასვლას, მაგრამ კლდეზე ხახუნისაგან თოკი დაწვრილდა, გაწყდა და უფსკრულისაკენ ბზრიალ-ტრიალით დაექანა. საბედნიეროდ, გამოიქროლა არწივმა, მძლავრ მხრებზე შეისვა და ველზე უვნებლად დასვა. ამით ცხოველთა სამყაროც დაეხმარა თავის მხსნელს. ჭაბუკმა არწივსაც თავაზიანი მადლობა გადაუხადა, ყვავილი წაიღო და მეფის ასულს მიართვა. ცხადია, შავი ყვავილი შხამიანი აღარ იყო, მისი ხაზვა ზიანს არავის აყენებდა. ამიტომ მეფის ასულმა ის შესწირა ერთ მუზეუმს, სადაც დღემდე ინახება.

მეფე ჭკვიანი კაცი იყო და ხელი არ შეუშლია ახალგაზრდებისათვის დაქორწინებაში, რაც მათ სავსებით დაიმსახურეს. ახლა ტახტიც მათი იყო და ქვეყანაც.

გაიმართა დიდებული ქორწილი. ბრმა მომღერალს თვალი აეხილა და საოცარი სიმღერებით ადიდებდა ხალხის გმირს. მოხუცებული ქალი მართლაც მზარეულთ-უხუცესად დანიშნეს და საუცხოო საჭმელებს არ აკლებდა მეფე-დედოფალსა და მათ სტუმრებს. მერიქიფედ კი დანიშნეს... ვის დანიშნავდნენ? რა თქმა უნდა, ფეიქარს! ქორწილში არწივიც მოიწვიეს, მაგრამ მოუცლელობის გამო ვერ მივიდა.

ეს არის ყველაფერი, რაც შავი ყვავილის შესახებ ვიცით. თუ კიდევ რამეს გავიგებთ, უსათუოდ შეგატყობინებთ.






## ყუნწმაქარა ანუ კანფეტის ხე

მცენარეთა სამყაროში ხე-ჭრელთა ოჯახიდან ცნობილია საინტერესო მცენარე ჰოვენია ანუ ყუნწმაქარა. მისი სამშობლო იაპონია და ჩინეთია, მაგრამ იგი კარგად ხარობს, აგრეთვე, ინდოეთში, კორეაში, სამხრეთ ევროპასა და ამერიკის თბილ ქვეყნებშიც.

ჩვენში ყუნწმაქარა შავი ზღვის სანაპიროზე და ლენქორანში ხარობს.

ყუნწმაქარა სიმაღლით 15—20 მეტრამდე იზრდება, დიამეტრი 1 მეტრამდე აქვს, ხშირი ფოთლით შემოსილი თითოეული ხე ტოტებზე ისხამს შაქრით მდიდარ წვრილ და მრგვალ, 60 კილოგრამამდე ნაყოფს.

ყუნწმაქარა ყველაზე ტკბილი ნაყოფის მომცემ მცენარეთა ჯგუფს მიეკუთვნება: მისი ნაყოფი უმად არ იჭმევა.



ამ მცენარის ყუნწებიც ძალიან ტკბილია, იჭმება უმად, განსაკუთრებით უყვართ იგი ბავშვებს. შეიძლება მისგან დამზადდეს სასმელები, რომელთაც იაპონიაში ბრინჯის არყით მთვრალების გამოსაფხიზლებლად ხმარობენ.

ნაყოფს იყენებენ კანფეტის, მარმელადის, მურაბებისა და სიროფების დასამზადებლად, ამიტომ არის, რომ ამ მცენარეს უწოდეს მესამე სახელიც—კანფეტის ხე.

კანფეტის ხე სასარგებლო მცენარეა არა მარტო ტკბილი ნაყოფითა და ყუნწებით, ძვირფასია მისი მერქანი მშენებლობისათვის, ავეჯისა და მუსიკალური ინსტრუმენტებისათვის.

## სოკო—ნაღმი

სამხრეთ ამერიკის ტროპიკულ ტყეებში იზრდება ერთი-ერთი მომწვანო ფერის სოკო. მისი გოლიათი წარმომადგენელი ხშირად ხუთ კილოგრამს იწონის.

ამ სოკოს აფეთქების ისეთი უნარი აქვს, რომ «ბოტანიკურ ნაღმსაც» ეძახიან.

მას მცხოვრებლები კოლონიზატორთა წინააღმდეგ საბძოლო საშუალებად იყენებენ. ამ სოკოზე ფეხის დადგმა, რაიმე საგნის დარტყმა ან გადაგდებაც კი საკმარისია, რომ იგი აფეთქდეს და მისგან გამოყოფილ სქელ კვამლში გაახვიოს ადამიანი. ამ კვამლს უნარი აქვს ადამიანს ცრემლი ადინოს. გამოიწვიოს შეუკავებელი ცხვირისცემინება, ხველა და სხვა არასასიამოვნო გაღიზიანებანი.

ეს სოკო დიდ უსიამოვნებას აყენებს მონადირეებსა და ნატურალისტებს.

## ას კილოგრამი ოქროდ ღირებული კაკალი

აფრიკის აღმოსავლეთით, ინდოეთის ოკეანეში მდებარეობს სეიშელის კუნძული, სადაც ხარობს ერთ-ერთი სახეობის პალმა, მას ლოდიცეს უწოდებენ.

ამ სახეობის პალმა იძლევა მსოფლიოში ყველა მცენარეზე მსხვილ ნაყოფს. ლოდიცე, ანუ სეიშელის პალმა, სიმაღლით 25 მეტრამდე იზრდება. მისი კაკლის დიამეტრი 50 სანტიმეტრს აღწევს, ხოლო წონა, ქერქიანად, 25 კილოგრამზე მეტს.

ეს უზარმაზარი კაკალი წყალში არ იძირება, მის ზედაპირზე ცურავს და ირიყება ნაპირზე.

ევროპელ მეზღვაურებში ეს კაკალი განცვიფრებას იწვევდა. ისინი ამ კაკალს ოკეანეს ჯადოსნურ ქმნილებად და სიკეთისმომტან თილისმად თვლიდნენ. ამიტომ იყო, რომ იგი ძვირად ფასობდა.

იმპერატორმა რუდოლფმა, როდესაც პირველად ნახა ეს კაკალი, რომელიც მას საჩუქრად მიართვეს, სანაცვლოდ იმდენი ოქრო გასცა, რამდენიც ამ კაკლის ღრუში ჩაეტია. როდესაც ოქრო აწონეს, ასი კილოგრამი გამოვიდა.



ამ პალმის კაკალს XVIII საუკუნის 50-იან წლებამდე ასეთი დიდი ფასი ჰქონია. სეიშელის კუნძულების აღმოჩენისა და იქაური ფლორისა და ფაუნის შესწავლის შემდეგ ამ კაკლისადმი ცრუწმენა და მისი ზღაპრულად უზარმაზარი ფასიც შემცირდა. თუმცა ამჟამად, ამ ძვირფასი პალმის დასაცავად განსაკუთრებული კანონია გამოცემული და მას ხელოვნურად აშენებენ ტროპიკულ ქვეყნებში, სადაც სითბო და ტენი მის გახარებას ხელს უწყობს.

ანა ნემსაძე

# დალი და კურდღლები

დედამ კუტი-კარი მოიხურა და დალის დაუბარა:

— დალი, გენაცვალე, კრებაზე მივდივარ, აბა, შენ იცი, როგორ ჭკვიანად მოიქცევი.

— კი, დედიკო, — მიუგო დალიმ და კორიდორში გამორეულ ბაიას ყვითელი თავი წააწყვეტა.

როგორ, ჭკვიანად? ალბათ, ისე უნდა მოიქცეს, როგორც დედა იქცევა. დედა ხომ ჭკვიანია.

ბაია გადააგდო და ოთახში შეირბინა. დედის წინსაფარი მოიზომა, მაგრამ ძალზე დიდი მოუვიდა და ადგილზე დადო. ახლა ძველი კაბა აიფარა და სახელოებით უკან შეიკრა. თავი ყელსახვევით წაიკრა, ნასკვი კეფაზე კი არა, შუბლზე მოუვიდა.

— მაგრამ მაინც ვგავარ დედას, ხომ? — თავის დაქნევით იკითხა. სარკემ დაუმოწმა.

ცოცხი აიღო და ოთახის გამოგვა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა: სახლში ვინ დაინახავს, რომ ჭკვიანი გოგოა? კარში გავიდა, წყალი მოასხურა და აივნის დაგვას შეუდგა. მაგრამ ნაგავი იქვე მიატოვა, ცოცხიც ზედ მიაგდო.

ახლა რა გააკეთოს? — დოინჯი შემოიყარა (დედამაც ხომ ასე იცის!).

ჰო, წყაროზე აირბენს და წყალს ჩამოიტანს. დოქს ხელი წაატანა, წავიდა.

ჭრელმა პეპელამ ჯერ გვერდზე ჩამოუფრინა, შემდეგ წინ მოექცა და ცხვირზე ცალი ფრთა გაჰკრა. ხელი მოუქნია, პეპელა მუჭიდან გაუფრინდა. დოქი?

გატეხილი დოქი მიწაზე ეგდო.

ჯერ ტირილი მოიწადინა, მაგრამ, ახლომახლო რომ ვერავინ შენიშნა, თავი შეიკავა.

დოქის ნატეხები ერთმანეთს მიადო. გაამრთელა, გაუხარდა.

ხელი გაუშვა და... დოქი დაიშალა.

დოქის ერთი ნატეხი ერთ ხელში დაიჭირა, მეორე — მეორეში და სამზადი სახლისკენ გამოეშურა. იმ კვიმატმა პეპელამ კვლავ ჩამოუქროლა, მაგრამ ამჯერად ხელი არ აუქნევია, ისე, თვალების ბრიალით დაემუქრა.

დოქის ნატეხები ყელსახვევით შეკოჭა, — ჩამოკიდებულ ჩელტებქვეშ დადო. ახლა ვინღა მიხვდება, რომ დოქი გატეხილია?

ჩელტებზე აბრეშუმის ჭიები მუცელზე წაწოლილ-იყვნენ და თუთის ფოთოლს შრიალით სანსლავდნენ.

დალის არ უყვარს აბრეშუმის ჭია: ლამაზები არ არიან, დაწოლილი ჭამენ და... ეს ამბავი ოთხი დღის უკან მოხდა. დედა სამზად სახლში შევიდა და თავზე ხელი წაიშინა: ნახევარი ჩელტი გაცლილი იყო, — არც ჭია, არც ფოთოლი.

— ეს რა უქნიათ კურდღლებს?! — ამოიხვნეშა.

დალი განზე იდგა და იშმუშნებოდა: კარგი დღე არ მოელოდათ კურდღლებს. ხოლო კურდღლები ისეთი კარგები იყვნენ, ისეთი ლამაზები...

დედამ ყველა კურდღელი დაიჭირა, ზოგი ვის გაუგზავნა და ზოგი ვის. მერე მათი საძრომი ხვრელი ამოგმანა და ზედ დიდი ლოდი დაადო. დალი ტიროდა და მთელი ქვეყნის ჭიებს ამოწყვეტით ემუქრებოდა.

იმ საღამოს ისე ჩაიძინა, რომ არც ვახშამი უჭამია და არც დედას ჩახუტებია. ძილში სულ კურდღლები და ბაჭიები ესიზმრებოდა.

და აი, ამ დილით დედამ დიდი კურდღელი მოუტანა. კურდღელს ბეწვი არ ჰქონდა, არც კუნტრუშობდა, არც ყურებს აბარტყუნებდა.

— ასეთი კურდღელი რად მინდა! — ისე ჩაილაპარაკა დალიმ, რომ დედისთვის არც შეუხედავს.

—კარგი, გენაცვალე, ეს კურდღელი თბილისიდან ჩამოვატანინე, იმათ ათასჯერ სჯობია, — უთხრა დედამ.

კურდღელს დაზიანებული ბოლოკივით გაბლეჩილი ტუჩი მაღლა აეშვირა და ჭერს მიჩერებოდა. ახლაც იქ აგდია.

მაგრამ ამას რას ხედავს დალის თვალები: მასთან ორი ბაჭია დახტის, ნამდვილი, ცოცხალი ბაჭია...

დალი ბაჭიებს დაედევნა. ერთმა გაასწრო და ახალ ხვრელში ჩაძვრა, მეორე დაიჭირა. ბაჭია უბეში ჩაისვა, კაბის გარედან ხელი ფეხში ჩასჭიდა და გახარებული ქუჩაში გამოვარდა.

არც სახლის კარები დაუკეტია, არც ჭიშკარი.

მირბის დალი, ფეხებში კაბა-წინსაფარი ებლანდება და მაინც მირბის, რომ საღამოს ბინდმა არ დაასწროს კლუბში.

კლუბში კრებაა. კრებაზე დედამისია. და ხომ უნდა ახაროს დედას?

კარები ნელა გამოაღო, კლუბის დიდი დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი, დედამისი მაგიდასთან იდგა და რაღაცას ლაპარაკობდა.

— დედა! — ჩუმად დაიძახა.

დედას არ გაუგონია, ვიღაცამ კი გაოცებით შემოხედა. იმან მეორეს უბიძგა, მეორემ — მესამეს, და ერთ წუთში მთელი დარბაზი დალისაკენ შემობრუნდა.

კრების თავმჯდომარემ ზარი ააწკრიალა, დედამ ჩაახველა.

— დედა, რა გახარო! — ხალხის მზერით შეშინებულმა დალიმ ახლა უფრო ხმადაბლა დაიძახა.

დედა მისკენ მიბრუნდა და შეკრთა.

— დედიკო, ჭკვიანად ვიყავი, დოქი არ გამიტეხია და აი, კიდევ რა ვიპოვნე, — უთხრა დალიმ და უბიდან ბაჭია ამოაძვრინა.

დარბაზში სიცილი გაისმა.

ავ. გალდავაძე

ნახ. შ. ცხადაძისა



წაუკითხეთ პატარებს!

# მოკლედ ყველაფერზე

## 6 ათასი წლის მუმიები

სამი წლის წინ, იტალიელი არქეოლოგების ექსპედიციამ, ლიბიის მთებში, ტრიპოლიდან 800 კმ. სამხრეთით აღმოაჩინა მაღალგანვითარებული ცივილიზაციის კვალი, ცივილიზაციისა, რომელიც იქ ექვსი ათასი წლის წინათ არსებობდა. ეს იყო იმ დროს, როცა საჰარა ჯერ კიდევ არ იყო უდაბნო.

შემდეგში საჰარა უდაბნოდ გადაიქცა, ხოლო ამ საჰარა-ლიბიის ცივილიზაციის შემოქმედნი ნილოსის დაბლობში გადასახლდნენ და იქ ჩაუყარეს საფუძველი ეგვიპტურ ცივილიზაციას. არქეოლოგები დიდი ხნის განმავლობაში თვლიდნენ, რომ ეგვიპტური ცივილიზაცია თითქმის არაფრისაგან, ცარიელ ადგილზე წარმოიშვა, და რომ თავის უველაზე ადრეულ ეპოქაშიც იგი საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა, მხოლოდ ამჟამად დადგინდა, რომ ძველ ეგვიპტეში ცივილიზაცია საჰარიდან გადმოვიდა.

ამას წინათ, იტალიელმა მეცნიერებმა თავიანთი მესამე ექსპედიცია მოაწყეს ლიბიაში. მათ აღმოაჩინეს რამდენიმე აკლდამა, რომლებშიც იყო მუმიები. დადგინდა, რომ ამ მუმიების ხნოვანება 6 ათას წელს უდრის. აქამდე მიაჩნდათ, რომ ეგვიპტელებმა თვითონ შეიმუშავეს გვამების დაბალზამების მეთოდი, მაგრამ ახლა ეჭვს გარეშეა, რომ მათ ეს მეთოდი თავიანთი წინამორბედებისაგან გადმოიღეს.

ნაპოვნი მასალები მოწმობენ, რომ ადამიანები, რომლებიც ექვსი ათას წელზე მეტი ხნის წინ ცხოვრობდნენ საჰარაში, მისდევდნენ მიწათმოქმედებას, შინაურ ცხოველთა (კერძოდ, ძროხების) მოშენებას, მეთუნეობას.

## ნისლიანი მთების მირაჟი

სანტა-მარტას (კოლუმბია) ნისლმოხვეულ მთებში, სამი კილომეტრის სიმაღლეზე, მოგზაური დაინახავს კლდეებს შორის მობალახე ცხვრის ფარას, მის შორიახლო კი — ბერების პროცესიას. ისე ჩანს, თითქოს გათოშილი და დაღლილი ბერები იმედოვნებენ, რომ მწყემსებთან ან მონასტერში ჰპოვებენ თავშესაფარს. სინამდვილეში, ეს ბერები და ცხვრები — ბუჩქებია, რომლებიც თითქმის უნაყოფო მთის თხემებზე იზრდება. „ცხვრებს" წარმოადგენენ ხშირტოტებიანი მოკლე ღეროები. ტოტებზე მრავალი, მატყლის მსგავსი ბეწვებით დაფარული ფოთლებია. ზოგჯერ ტოტებზე იმდენად ხშირი ფოთოლია, რომ მათ შორის ფანჯარსაც კი ვერ შეუოფთ.

ზაფხულში კლდეები ამ მაღალ მთებში ძალზე ხურდება, ქრის ცხელი ქარები; ზამთრობით კი თოვლი, ყინვები და საშინელი ქარბუქები ესხმიან თავს მცენარეებს. მიეკვრნენ რა ერთმანეთს მჭიდრო გუნდებად, „ბერებმა" და „ცხვრებმა" ამით შეამცირეს აორთქლება, რის შედეგადაც თანდათან შეეგუენ მაღალი მთის მკაცრ ჰავას.

## ხეზე მცოცავი თევზები

ხომ ძნელი წარმოსადგენია ისეთი თევზი, რომელსაც ხეზე აცოცება შეეძლოს? სინამდვილეში კი მართლაც არსებობენ ზღვის ფაუნის ასეთი წარმომადგენლები. ესენი არიან პერიოფტალმუსები, ისინი დასავლეთ აფრიკის სანაპიროებთან ბინადრობენ. მათი სიგრძე მხოლოდ 15 სანტიმეტრს აღწევს. თავისებურად მოწყობილი ლაყუჩების საშუალებით ეს თევზები სუნთქავენ ჰაერით და ხმელეთზეც თითქმის ისევე მშვენივრად გრძნობენ თავს, როგორც ზღვაში. გადმოხტებიან რა ნაპირზე, იწყებენ მწერებზე ნადირობას, საშიშროების შემთხვევაში ელვის სისწრაფით ძვრებიან შლამში, ან მკერდის ფარფლების დახმარებით ადვილად აღწევენ მახლობელ მცენარეებსა და ხეებამდე, რომლებზედაც აცოცდებიან ხოლმე.



არაერთ სამეცნიერო ექსპედიციას უცდია ამ იშვიათი თევზების წაღება დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ უკრაინის ერთ-ერთი სამეცნიეროსარეწაო ექსპედიციის წევრებმა მოახერხეს ორი პერიოფტალმუსის წამოყვანა, მათზე მეცნიერული დაკვირვებების ჩასატარებლად.

## დედამიწის ჰავა უფრო თბილი გახდა

ჰავის ცვალებადობაზე ხანგრძლივი დაკვირვებების შედეგად მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დედამიწის ჰავა თანდათანობით უფრო თბილი ხდება.

გრენლანდიაში, მაგალითად, 45 წლის განმავლობაში (1880-1925) საშუალო წლიურმა ტემპერატურამ 3 გრადუსით აიწია, შპიცბერგენზე — 9 გრადუსით. ტემპერატურის აწევა შეიმჩნევა ამერიკის კონტინენტზეც. მაგალითად, ფილადელფიაში 100 წლის მანძილზე ჰავა 2 გრადუსით უფრო თბილი გახდა, ვაშინგტონში — 1,2 გრადუსით.

უფრო დათბა პარიზშიც, სადაც 80 წლის განმავლობაში საშუალო წლიური ტემპერატურა 1 გრადუსით ამაღლდა. ტემპერატურის ასეთივე მატება აღინიშნება იტალიაშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ზოგიერთ ტრ[illegible]ტორულ ადგილებში არის შემჩნეული ტემპერატურის დაწევა მთელი 10 გრადუსით.

ყინულის საფარი თანდათან მცირდება. ამას მოწმობს საბჭოთა არქტიკის სანაპირო. 1924 წლიდან 1944 წლამდე ყინულის ფართობი ამ რაიონებში 1 მილიონი კვადრატული კილომეტრით შემცირდა. ციმბირში მარადიული ყინვის საზღვარი ჩრდილოეთისაკენ იწევს. ასევე შეიძლება ითქვას სკანდინავიის მყინვარებზეც. ასეთივე ბედი ეწვიათ ალპების მყინვარებს. მაგალითად, მერ-დე-გლასი 1826 წლიდან 870 მეტრით დაპატარავდა.

არყის ხეები იწყებენ ტუნდრის შევიწროვებას. ეს საერთო მოვლენაა მთელი ჩრდილოეთი ევროპისათვის. ისლანდიაში ქერის ნათესების საზღვარი ჩრდილოეთისაკენ მიიწევს, კანადაში კი — პურის ნათესებისა. ფინეთში და ალიასკაზე მაღალი ხეები თანდათან ისეთ ზონებში იჭრებიან, სადაც ძველად ვერ ხარობდნენ სიცივის გამო.

მფრინავი თევზები, რომელთა დანახვაც წინათ მხოლოდ ტროპიკულ ზღვებში შეიძლებოდა, ამჟამად დიდი რაოდენობით გვხვდება ზომიერი სარტყელის ზღვებში. რამდენიმე წლის წინ მათი გამოჩენა გაკვირვებით აღნიშნეს ბოსტონის (ინგლისი) მეთევზეებმა. თვით ვირთევზამაც 1.800 კილომეტრით გაიწია ჩრდილოეთისაკენ — გრენლანდიის ჩრდილო დაბოლოვებამდე მივიდა.

## მიწისქვეშა ყვავილები

ეს მოხდა ავსტრალიაში. ერთმა ფერმერმა მიწის თხრის დროს 30 სმ სიღრმეზე უეცრად ყვავილები აღმოაჩინა. ჰორიზონტალურ ფესურაზე ამოსულიყო მაგარი, თეთრი ღეროები, რომლებიც ბოლოვდებოდნენ ორხიდეას მსგავსი დიდი კოკრებით.

მიწისქვეშა „ორხიდეა" ყვავილობს და თესლს იკეთებს სრულ სიბნელეში. შესაძლოა, ყვავილიდან ყვავილზე მტვერი მიწის ჭიებს გადააქვთ.



ამ ყვავილებს ფერისცვალების საოცარი თვისება აქვთ. ისინი ფერს იცვლიან ღია ვარდისფერიდან დაწყებული, იისფრამდე.

მიწისქვეშა ყვავილები მეცნიერებისათვის 1928 წლამდე ცნობილი არ იყო.



ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის, 91 ტელ. 5-07-43

„ПИОНЕРИ", На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა «ნაკადული». უე 02474 ტირ. 28.000. პირ. ფორ. რაოდ. $4^1/_2$, ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 26/III-62 წ.
სტამბის შეკვ. 507. გამომც. შეკვ. 603. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტ «კომუნისტი».
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ფასი 20 კაპიკი

## კროსვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ვერტიკალურად:** 1. ალ. ჭავჭავაძის ლექსი; 2. ბოსტნეული; 3. მცენარე; 5. ალეგორიული ხასიათის ნაწარმოები; 6. გემის ნაწილი; 9. ძველი ბოლშევიკური გაზეთი; 11. ბოსტნეულის მტერი; 19. მთები ჩეხოსლოვაკიაში; 15. ხილი; 17. ძველი საბრძოლო იარაღის ნაწილი; 18. ევროპის ერთ-ერთი სახელმწიფოს დედაქალაქი; 22. შინაური ცხოველი.

**ჰორიზონტალურად:** 3. ვიეტნამის დედაქალაქი; 4. გველის სახეობა; 7. სიმებიანი საკრავი; 8. ხორბლეული; 10. ქალაქი სსრკ-ში; 12. მიწის ინდური საზომი ერთეული; 13. ბუნების მოვლენა; 16. მდინარე აფრიკაში; 18. კუნძული ატლანტის ოკეანეში; 19. სახელმწიფო აზიაში; 20. დაბა საქართველოში; 21. სამშენებლო მასალა.

შეადგინა **გივი სუხიტაშვილმა,**
თელავის მე-2 საშ. სკოლის მე-9 კლ. მოსწავლემ

### აბა, სცადე!

თქვენს წინაშე მოცემული ფიგურა საჭიროა შემოხაზოთ ფანქრის ერთი მოსმით.



**გურამ კოპაძე,**
თბილისის 53-ე საშ. სკოლის მე-9 კლ. მოსწავლე.

### ამოცანა

ვალიკოს და პალიკოს 96 ცალი კაკალი აქვთ. თუ ვალიკო პალიკოს მისცემს 8 ცალს, მაშინ ორივეს თანასწორი რაოდენობის კაკლები ექნებათ, ხოლო თუ პალიკო მისცემს ვალიკოს 8 ცალს,— მაშინ ვალიკოს ორჯერ მეტი გაუხდება.

რამდენი კაკალი აქვს ვალიკოს და პალიკოს ცალ-ცალკე?

**გ. გველესიანი**

### გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

1.

გამბაწრეს, გადამაბრუნეს,
გადმომაბრუნეს — მცემეს,
მე მირტყამენ და ბიჭები
იმტვრევენ ფეხის ცერებს.

2.

რქები აქვს, ხარი არ არის,
როდი დასდევენ სახრით,
მიდის და ვერცხლის კვალს
ტოვებს,
ზურგზე კიდია სახლი.

**გ. წერეთელი**

### ხალხური გამოცანები

1.

წყალში ჩადის—არ სველდება,
ცეცხლში შედის—არ იწვება.

2.

ზურგზე ხე აქვს მაგარი,
მუცელზე კი—ჯაგარი.

3.

პირქვე—სავსეა,
გულაღმა—ცარიელი.

4.

ტყეში ცალფეხა სკამი ვნახე.

5.

წინ ზურგი, უკან—მუცელი.

6.

თოკი სწოვს, ხბო იბერება.

7.

მაღლა ჰყვავის, დაბლა ისხამს.

ჩაწერა **გ. შეთეკაურმა**

# პასუხები

### კროსვორდი

**ვერტიკალურად:** 1. სათლი; 3. აბო; 4. კი; 5. რე, 7. იალტა; 8. გაგრა; 9. ოზონი; 10. ძნა; 11. კეცი; 12. ინდი; 16. ენა; 17. ია; 18. ირტიში; 19. კოდალა; 20. ორლოვა; 21. ლელა; 22. „აიდა“; 23. „ალი“.

**ჰორიზონტალურად:** 2. თხა; 6. ისი; 8. გეო; 11. კორტი; 13. ალა; 14. ასი; 15. ირემი; 17. ილი; 19. კიო; 21. „ლატავრა“; 23. არი; 24. აქსინია; 25. ინი.

### გამოცანები

1. მზესუმზირა; 2. თმა; 3. სტაფილო; 4. რქა; 5. ანტენა.

### თავსატეხი

ფიგურა ოთხ ტოლ ნაწილად იყოფა ისე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები.





ეროვნული ბიბლიოთეკა